გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

E-mail: r.jalagania@mail.ru

№331 (390) 15-22 სექტემბერი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

ალექსანდრე ჭაჭია: რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისა და ერისათვის დასავლეთის მიერ თავსმოხვეული “ლირებულებების” გაზიარებას?

გვ.2-6

დემურ კუხალეიშვილი – სახელმძღვანელოების უპროცენტოდ რამდენჯერმე გასესხებიდან ორი წლისთავზე

გამომცემლობები არის ყველაფერი, გამომცემლობები არის ქვეყნის ეკონომიკა, ინტელექტუალური დონე და მისი განმსაზღვრელი. ინტელექტუალური განვითარება კი, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის, არსებობის და გადარჩენის მთავარი გზაა – ჩვენი შვილების გადარჩენაა. მინისტრის ნათქვამი, „დაზოგილი თანხა სხვა რამისთვის გამოიყენონ“ გაუმართლებელია. გვ. 3



ვაჟა მორგოშია: გიორგი ჭყონდიდელისათვის მონუმენტის დადგმა უპრიანია

გვ. 4

“ბრინჯისმა” გენმოდიფიცირებული პროდუქტების სია გაასაჯაროა

გვ. 4

ბიზნეს-ფორუმი „ჩხოროწყუ 2015“

გვ. 8

სენსაცია! ჯონ მაკკეინმა საჯაროდ აღიარა, რომ „აშშ-ის პრობლემა პუტინი, ჩინეთი და სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებაა სხვადასხვა ქვეყანაში!” საინტერესოა, რას იტყვიან ახლა USA-ქართველი პოლიტიკოსები ამერიკულ თავისუფლებასა და დემოკრატიაზე?!

გვ.10

იგორ კეკელია: „მიწის ენაში“ შენახული წარსულის ხსოვნა

გვ. 7

ალექსანდრე შენგელია: ნუნისიდან ნამოყოლილი ფიქრები

გვ. 3

რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისა და ერისათვის დასავლეთის მიერ თავსმოხვეული "ღირებულებების" გაზიარებას?

გამოქვეყნდა 2015 წელს, გაზეთში "საქართველო და მსოფლიო"

ამა წლის 26 ივნისს აშშ-ის ყველა შტატში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების ლეგალიზებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად შეხვდნენ, თუმცა უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამერიკელთა ამ გადაწყვეტილებას ქვეყნების ხელისუფლებები და მოქალაქეები შეხვდნენ სხვადასხვანაირად, რადგან, აშშ-ის ვასალობის მიუხედავად, ევროპის ბევრ ქვეყანაში ე.წ. სექსუალური უმცირესობებისადმი დამოკიდებულება გაცილებით მკაცრია, ვიდრე აშშ-ში. ამას მოწმობს პარიზსა და რომში გამართული **ლგბტ**-თემის წინააღმდეგ მიმართული გრანდიოზული საპროტესტო აქციები, რომლებშიც მილიონამდე ადამიანი მონაწილეობდა, აგრეთვე, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის რამდენიმე დღის წინანდელი განცხადება, რომ ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის ერთად ცხოვრება.

აშშ-ის ყველა შტატში ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზების შემდეგ პრეზიდენტ ბარაკ ობამას გამაოგნებელი განცხადება – ეს ამერიკის გამარჯვებააო, და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის შეუნიღბავ მუქარას – ვეცდებით, ეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დავაკანონოთო, ოდნავაც არ შეუცვლია ტრადიციული რელიგიების წარმომადგენელთა – კათოლიკების, მართლმადიდებლების, მუსლიმანების, ბუდისტებისა თუ იუდეველების – ნეგატიური დამოკიდებულება პედერასტიისა და, საერთოდ, ჰომოსექსუალიზმის მიმართ. პირიქით, ამ ამბით გაღიზიანებულმა ზიმბაბვეს პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ ბარაკ ობამას დაცინვით ხელი სთხოვა, – დემოკრატიულობა გამოიჩინე და ცოლად გამომყევიო. დასავლეთის ზოგ ქვეყანაში, სადაც მაღალი რანგის სახელმწიფო პირი მამაკაცები მამაკაცებს მიჰყვებიან ცოლად თუ პირიქით – მამაკაცს ცოლად ირთავენ, ერთნაირსქესიანთა ქორწინებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება პროგრესულ მოვლენად, მეტ თავისუფლებად აღიქმება, ხოლო სხვა ქვეყნებში, სადაც ჯეროვნად არ ყვავის **"ამერიკული დემოკრატია"**, ამას აშშ-ისა და ევროპის გახრწნად, ზნეობრივ დაცემად აფასებენ.

საქართველოში კი ყიჟინა ატეხეს **ლგბტ** პირების უფლებათა დამცველმა, ამერიკული გრანტებით ნაკვებმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და საპარლამენტო ფრაქცია **"რესპუბლიკელების"** წევრმა თამარ კორძაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ **"ეს ადამიანის უფლებების სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯია"**.

ამერიკელთა მიერ გულუხვად დაფინანსებულ-მხარდაჭერილი არასამთავრობოებისა და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა ყიჟინას ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის ისეთი აღშფოთება მოჰყვა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იძულებული შეიქნა, საჯაროდ განეცხადებინა: **"ყველაფერს გავაკეთებ, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს – ქორწინება, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა!"**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბევრს აშფოთებს ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების პერსპექტივა, საზოგადოების უდიდესი ნაწილი თვლის, რომ ტრადიციული ფასეულობების მქონე მართლმადიდებელ ქვეყანაში ასეთი რამ შეუძლებელია.

არის თუ არა შეუძლებელი საქართველოში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონება და რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისა და ერისთვის დასავლეთის მიერ თავსმოხვეული **"ღირებულებების"** გაზიარებას? – ამ საკითხზე 2 წლის წინათ ისაუბრა ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ გაზეთ **"საქართველო და მსოფლიოსთვის"** მიცემულ ინტერვიუში: **"თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ ღირებულებებს – დავიღუპებით"** (იხ. **"საქართველო და მსოფლიო"** №19, 29 მაისი – 4 ივნისი, 2013 წ.). როგორც ამ ინტერვიუს ქვემოთ მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, ბატონი ალექსანდრეს კიდევ ერთი პოლიტიკური პროგნოზი (როგორც მანამდე – არაერთი) ზედმიწევნით ასრულდა.

გეიიდეოლოგიით განმსჭვალული ახალგაზრდები და თანამედროვე ევროპული "ღირებულებები"

"არიან ახალგაზრდები, რომლებიც განიმსჭვალნენ გეიიდეოლოგიით დასავლურ უნივერსიტეტებში სწავლისას ან აქ, საქართველოში, უცხოელებთან ურთიერთობისას; და არის ხალხი, რომელიც დასავლეთისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრია და ფულისთვის ასრულებს გარკვეულ მითითებას.

აქვს თუ არა პერსპექტივა მათ საქმიანობას? დიახ, აქვს. თუ ხელისუფლება და ქართველი საზოგადოება ჯიუტად განაგრძობენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, ანუ განაგრძობენ შევარდნაძე-სააკაშვილის გეზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე "ევროპული ღირებულებების"განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ამა თუ იმ სახელმწიფოს "ევროპულობის" მთავარი მაჩვენებელია. მსოფლიოში იგი მზარდი ტემპით ვითარდება, რასაც ხელს უწყობს ათასობით სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მედია, კინოინდუსტრია. თუ 15-20 წლის წინათ პედერასტია ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ცივილიზაციის სიმდიდრით გაზულუქებული მდიდრებისა და მათი შვილების გარემოში მხოლოდ "მოდა" იყო, დღეს ეს დასავლური ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტია. ეს მოხდა ძალიან მოკლე ისტორიულ პერიოდში.

გავიხსენოთ ისტორია. ჰომოსექსუალიზმი არსებობდა ყოველთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰომოსექსუალური კავშირების თავისუფლებას საზოგადოებისთვის ისეთი დიდი ზიანი მოჰქონდა, რომ მონოთეისტური რელიგიების დამფუძნებლები იძულებულნი შექნენ მომაკვდინებელ ცოდვად გამოეცხადებინათ იგი. ქრისტიანულ ევროპაში ჰომოსექსუალიზმი იატაკქვეშ გადავიდა და მისი მასშტაბებიც მკვეთრად შემცირდა. პერიოდულად იყო აღზევებებიც, მაგალითად, შუასაუკუნეებში კათოლიკე ბერების გარემოში და, სავარაუდოდ, სწორედ ამ მოვლენასთან საბრძოლველად შეიქმნა თავიდან ინკვიზიცია. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაშიც და აშშ-შიც პედერასტიასთან დამოკიდებულება იყო ძალიან უარყოფითი. გაიხსენეთ ოსკარ უაილდი, რომელიც 1895 წელს ამერიკაში ციხეში ჩასვეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირება დაიწყო. ამას ხელი შეუწყო ამერიკული ჯარის სამხედრო მოსამსახურეთა გარემოში პედერასტთა საზოგადოების წარმოქმნამ საკუთარი ცნობიერებით. სწორედ მამათმავალმა სამხედროებმა მისცეს აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის რეაბილიტაციასა და ლეგალიზაციას ბიძგი. მას შემდეგ აშშ სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის ლიდერია მსოფლიოში. ყველა ქვეყანა, რომელიც აშშ-ის გავლენას განიცდის, იძულებულია, ერთნაირ სქესიანთა კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წაახალისოს. თავად აშშ-ში კონგრესის დაახლოებით 70 წევრი ოფიციალური პედერასტია, ჯარში 65 ათასი ოფიციალური გეი და ლესბოსელი მსახურობს. აშშ-ის ჯარში ერთნაირსქესიანი ქორწინებები, სოციალური შეღავათების თვალსაზრისით, გაუთანაბრეს ჩვეულებრივ ქორწინებებს, მაგალითად, ჯარისკაცის დაღუპვის შემთხვევაში მისი ქორწინების პარტნიორი (არ ვიცი, სხვანაირად როგორ დავარქვა) მიიღებს ფულად კომპენსაციას და აქვს უფლება, გარდაცვალების შემდეგ დაიკრძალოს მასთან ერთად სამხედრო სასაფლაოზე...

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ "ევროპელებს", არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები – საქართველოს ფაქტობრივი პატრონი და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია".

საქართველოს მთავარი ეროვნული ინტერესი

"საქართველო, პირველ რიგში, უნდა შეეცადოს, გახდეს ოდნავ მაინც დამოუკიდებელი სახელმწიფო. უკვე 20 წელიწადია, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოიხატება 26 მაისს ზეიმის ჩატარებაში. ეს ცოტა ხომ არ არის საიმისოდ, რომ თავი სახელმწიფოდ ჩავთვალოთ? შევარდნაძე და სააკაშვილი გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთის **"უმცროს ძმად"** ყოფნა უღირსობაა, ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენ შეერთებული შტატების **"უმცროსი პარტნიორები"** ვართ და ეს დიდი მიღწევაა. სრულიად შესაძლებელია, რომ ვინმეს პარტნიორობა უფრო მოსწონდეს, ვიდრე ძმობა, მაგრამ პარტნიორს, თუნდაც უმცროსს, უნდა ჰქონდეს საკუთარი ინტერესები, სხვა შემთხვევაში იგი პარტნიორი არ არის – ის ლაქიაა, მონა. საქართველოს დღეს ერთი მთავარი ეროვნული ინტერესი აქვს – ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება.

უნდა ავუხსნათ **"უფროს პარტნიორს"**, რომ, როდესაც საქართველო იყო **"უმცროსი ძმა"**, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა, თითქმის ყველა ქართველი ცხოვრობდა საქართველოში და ცუდ სიზმარშიც კი ვერ ხედავდა საკუთარ თავს ემიგრანტის ამპლუაში; ქვეყანაში მუშაობდა ასობით ქარხანა, ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო უმუშევრობა, მიწას ამუშავებდნენ და მოსავალს იღებდნენ ადგილობრივი გლეხები, ხოლო **"პედერასტი"** სალანძღავი სიტყვა იყო.

როდესაც ჩვენ გავხდით აშშ-ის **"უმცროსი პარტნიორი"**, შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, ხოლო მოკვდავობისა კატასტროფულად გაიზარდა, ქარხნები და ფაბრიკები ჯართში ჩააბარეს; ქართველი ერის მესამედი ემიგრაციაში წავიდა და სხვა ქვეყნებში მომსახურე პერსონალი გახდა, ყოველი მეორე, ვინც სამშობლოში დარჩა, უმუშევარია; ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგულია, დარჩენილი მიწები ინდოელებს, ჩინელებს, პაკისტანელებსა და კიდევ ვიღაცას მიჰყიდეს, ხოლო პედერასტები ინგლისურენოვანი პლაკატებით ხელში დედა ენის ძეგლთან იკრიბებიან და ერთნაირსქესიანი სიყვარულისთვის თავიანთი უფლებების დაკანონებას ითხოვენ. ასეთი **"პარტნიორობის"** კიდევ 10 წელი და ქართველი ერი, როგორც კულტურული სათემო, უბრალოდ, აღარ იარსებებს".

ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა

"ქართველმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. 15 წლის წინათ მე შევიმუშავე და გამოვაქვეყნე "საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია", რომელშიც ჩამოვაყალიბე ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. მთავარ მიზნად ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვა მივიჩნიე. მაშინვე დავასახელე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის – "ქართველობის გადასარჩენად!". ეს სიტყვები თავის ლოზუნგად აქცია სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" გაზეთმა "ილორმა". ამის იქით საქმე არ წასულა. შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მე "ნაციონალისტი" და "კრემლის რუპორი" მიწოდეს; პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც საკუთარ თავს "ოპოზიციას" ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი "ანტიამერიკანიზმი" და "ანტიევროპეიზმი". დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიცაა... თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი განაგრძობს ზურაბ ჟვანიას ბოდვითი განცხადებით ხელმძღვანელობას: "მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!". სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წლის განმავლობაში უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო "ბრუნდება" ევროპაში, რომ ჩვენ ევროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა.შ. ამისთვის ჩამოჰყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები – მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარცხვინო შოუებს დგამდნენ. სხვათა შორის, საქართველოში არც ერთი მნიშვნელოვანი ევროპული ქვეყნის პრეზიდენტი ან პრემიერი არ ჩამოსულა (სარკოზი გამონაკლისი შემთხვევისა და მიზეზის გამო ჩამოვიდა), რითაც მათ გამოხატეს დამოკიდებულება საქართველოს "ევროპულ იდენტობასთან".

საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში **"თერგდალეულთა"** – დიდი ქართველი განმანათლებლების – დამსახურებით ეს პროცესი გაძლიერდა, მაგრამ იმხანად ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს. ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები ეროვნული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით. ევროპელი ერები ცდილობენ, ხელისუფლებაზე დემოკრატიული მეთოდებით ზემოქმედებით შეეწინააღმდეგონ დამანგრეველ ტენდენციებს, მაგრამ ამას აზრი არ აქვს.

დასავლური დემოკრატია, როგორც დასავლური ეკონომიკური მოდელი, ჩიხში შევიდა, მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის საშუალება აღარ არის. უმრავლესობის ნება – დემოკრატიის საფუძველი – აღარაფერს წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ის და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში – "უმცირესობათა" მოთხოვნებმა. გაიხსენეთ: დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ეწინააღმდეგებოდა მათი ქვეყნის ერაყთან ომში მონაწილეობას, მაგრამ ინგლისის ხელისუფლებამ მიაფურთხა საკუთარი ხალხის სურვილს. აშშ-ში ომის დაწყების წინააღმდეგ მრავალმილიონიანი დემონსტრაციები იმართებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ ომი მაინც დაიწყო. ფრანგთა უმრავლესობა ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ პრეზიდენტმა და პარლამენტმა უმრავლესობის ნება უგულებელყვეს.

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებული არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ **"უმცირესობათა უფლებების"** დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც თავიანთ ნორმებსა და ქცევის წესებს დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას. ორ მილიონ მუსლიმანს შეშინებული ჰყავს მრავალმილიონიანი ინგლისი. საქმე აბსურდამდე მივიდა: ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის რეკომენდებულია, არ იაროონ ლონდონის ქუჩებში სამხედრო ფორმით, რათა არ მოახდინონ ძალადობის პროვოცირება მუსლიმანი ექსტრემისტების მხრიდან.

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

ᲜᲣᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲛᲝᲧᲝᲚᲘᲚᲘ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

კაცს თაფლი და ღმერთს სანთელი!

სასიამოვნო ამბავი შეიტყო ღვთისმშობლის შობის ნუნისის მამათა მონასტრის მრევლმა: წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი პავლე (ერისკაცობაში ალექსანდრე მაჩიტაძე) უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ბრძანებით დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და იღუმენის ხარისხში აღევლინა.

* * *

ნუნისის ტაძარი, რომელიც სამნავიანი ბაზილიკაა, მეცხრე-მეათე საუკუნით თარიღდება და მას ბევრი საინტერესო გადმოცემა უკავშირდება, მათ შორის წმიდა მეფე დავით აღმაშენებელზე.

ამ გადმოცემის თანახმად ერთ-ერთი ბრძოლიდან მობრუნებულ მეფის ლაშქარი ნუნისში შეჩერებულა და ქანცგაწყვეტილი სახედრებისათვის საპალნე მოუხსნია.

მისიკვდილებული ცხოველები წყალში ჩაწოლილან და მალე მოცოცხლებულან. წყალის ამ სასიკეთო თვისებისათვის თურმე მეფეს ყურადღება საგანგებოდ მიუქცევია და ნუნისის ტაძრისათვის შესაწირი გაუღია.

მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ტაძარი არაერთხელ დანგრეულა და აღდგენილა. განსაკუთრებით მძიმე გამოდგა 1785 წელი. ომარ-ხანმა ჯერ ვახანის ციხე აიღო, შემდეგ კი ტაძარი გადაწვა.

მე-19 საუკუნის მიწურულში განახლებული ტაძარი იმერეთის ეპისკოპოსმა, წმიდა გაბრიელმა (ქიქოძე) აკურთხა, მაგრამ ორი ათეული წლის შემდეგ, ისევე, როგორც საქართველოს ბევრი სხვა ღვთის სახლისათვის, უღმერთობა და მსახვრალი ხელი უმოქმედო და ყველასაგან მიტოვებული ამ ტაძრისთვისაც უმძიმესი გამოდგა. გასული საუკუნის 70-იან წლებში საბედნიეროდ ტაძარი შეკეთდა და გადაიხურა კიდეც, მაგრამ მთლიანად ნაგებობა მაინც

არასახარბიელო მდგომარეობაში იყო. მას ღვთისმოსავთა მზრუნველობა აშკარად აკლდა, ვიდრე 11 წლის წინათ მარგვეთისა და უბისის მთავარეპისკოპოსის კურთხევით ნუნისის მონასტერში ტაბაკინის მონასტრის ბერი პავლე (მაჩიტაძე) არ დამკვიდრდა.

მრევლს კარგად ახსოვს, მონასტრის ამოქმედების პირველივე დღეებიდანვე თანდათან როგორ დაეტყო სასიკეთო ხელი თავად ღვთის სახლს, მის ეზოსა და შემოგარენს. დღეს კი ამ ტაძარში უფლის სადიდებელს უკვე არა მარტო ამ და მეზობელი ეპარქიების ღვთისმსახურები, მრევლი და სამკურნალო წყლით განთქმული კურორტის – ნუნისის დამსვენებლები აღავლენენ, არამედ მამა პავლესთვის მსახურებისას „შესაშველებლად“ საგანგებოდ ჩასული გელათის სასულიერო აკადემიის თანამშრომლებიც.

* * *

ფუტკრის მრავალი ოჯახი, სანიმუშოდ მოვლილი ყანა, რომელიც მლოცველისათვის ღვთის სახლში შესვლამდეც სასიამოვნო განწყობილებას ჰქმნის და, რაც მთავარია, არც თუ მოზრდილ, სულ 30-კომლიანი სოფლიდან ტაძარში ფაქტობრივად დედაწულიანად მისული მრევლი იმის თვალნათლივი დასტურია, თუ რა სიკეთე შეუძლია მოიტანოს ჭეშმარიტმა ღვთისმოსაობამ. არადა, ამ ნამდვილ წალკოტში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელ-გასაკეთებელი. ეს მხოლოდ უგზოობაზე როდი ითქმის, რაც ამინდის ოდნავი ჭირვეულობის დროსაც კი უამრავ მსურველს საშუალებას არ აძლევს, მიაღწიოს ნუნისამდე და მის მართლაც რომ ზღაპრულ კურორტამდე, არამედ ღვთივბოძებულ სიმდიდრესთან დაკავშირებითაც, მათ შორის იმ უკვდავების წყალზე, რომელიც ნუნისის მეზობელ სოფელ ზვარეში მოჩუხჩუხობდა და მთელ საქართველოს მიეწოდებოდა.

სამწუხაროდ, დღეს **„ზვარეს“** ჩამომსხმელი ქარხანა ისევეა დაშლილი და საქართველოდან ნაწილ-ნაწილ გაზიდული, როგორც მთელი ჩვენი მრეწველობა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოს მსოფლიო დონითა და სტანდარტებით გამოარჩევდა.

* * *

შემთხვევითი სრულიადაც არ მგონია საქართველოს სულიერი მამის 2015 წლის 16 აგვისტოს ის ბრძანება, რომლითაც იღუმენის ხარისხშია აღვლენილი და ოქროს ჯვრის ტარების უფლებითაა დაჯილდოებული ნუნისის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის წინამძღვარი.

ფუტკარივით გამრჯე და უანგარო ბევრი ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას, რათა ხალხს თაფლი არ დააკლდეს და ღმერთს სანთელი.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

სურათებზე: ნუნისის ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერი; გამოქვაბულები, სადაც ადრე ბერები ბინადრობნენ; მამა პავლე და საქართველოს სხვადასხვა ეპარქიიდან ღვთისმსახურებაში მისი თანამდგომები.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲓᲔᲕᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲝᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲒᲐᲡᲐᲔᲡᲮᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲖᲔ

სახელმძღვანელოების გასესხებიდან მეორე წლისთავზე ეს წერილი რიგით მესამეა. რედაქციამ შეიძლება ეს დაბლოკოს კიდეც, რადგან ამ თემასთან დაკავშირებით ხომ ჩემი ორი წერილი უკვე გამოქვეყნდა. დიახ! გამოქვეყნდა, მაგრამ... ამიტომ გადავწყვიტე მესამე წერილიც დამეწერა. მეორე მიზეზი, რის გამოც ამ წერილის დაწერა გადავწყვიტე, არის ის, რომ მინდა წინა ორ წერილში დაშვებული შეცდომებისთვის მკითხველს ბოდიში მოვუხადო და შეცდომები გამოვასწორო.

განათლების მინისტრი ბრძანებს: 2013-14 სასწავლო წლიდან სახელძღვანელოები იქნება უფასო, ამის შედეგად სხვადასხვა თანხა (150-დან 200 ლარამდე) მშობლებს დაეზოგებათ და მიეცემათ შესაძლებლობა სხვა რამისთვის გამოიყენონ.

მინისტრის ნათქვამი ხელისუფლებამ მათთვის მომგებიან პოზიციაში პირდაპირ გაიგო და პიარისთვის დღემდე იყენებს. საზოგადოების ზოგიერთმა ნაწილმაც პირდაპირ გაიგო და აღიქვა, როგორც კეთილშობილური აქტი. მეც პირდაპირ გავიგე, მაგრამ საზოგადოების ბევრი სხვა ნაწილის მსგავსად აღვიქვი, როგორც ქვეყნისთვის საკმაოდ დამანგრეველი პროექტი.

მალე გაირკვა, რომ სახელმძღვანელოები სრულებითაც არ ყოფილა უფასო. სასწავლო წლის დამთავრებისთანავე ჩამოართვეს და მოსწავლეები სახელმძღვანელოების გარეშე დატოვეს. არადა, მოსწავლეებს მუდამ სჭირდებათ სახელმძღვანელოები, სკოლის დამთავრებამდე და მის შემდგომაც. მინისტრის ნათქვამი – **„სახელმძღვანელოები იქნება უფასოდ“** – გამოვიდა ტყუილი.

თითქოს მივიღეთ სახელმძღვანელოების უფასოდ 9-თვიანი განათხოვრება, ამასთან დაკავშირებით დავწერე მეორე წერილი **„სახელმძღვანელოების 9-თვიანი განათხოვრების წლისთავზე“**. სწორედ **„სახელმძღვანლოების განათხოვრებასთან“** დაკავშირებით დავუშვი შეცდომა. **„სახელმძღვანელოების განათხოვრებას“** სულ სხვა დატვირთვა და შინაარსი აქვს. განათხოვრება შეიძლება მხატვრული, მეცნიერული ან სხვა სახის წიგნების, ხოლო ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებს არ ანათხოვრებენ. სწავლას მოწყურებული, ბეჯითი, კარგი მოსწავლე, სახელმძღვანელოებს არავისზე არ ანათხოვრებს, რადგან ეს მას მუდამ სჭირდება სკოლის დამთავრებამდე და მის შემდგომაც. ჩემს მეორე წერილის სათაურში გამოთქმული აზრი **„სახელმძღვანელოების განათხოვრება“** – შეცდომაა. ე.ი. შეცდომაა **„უფასო სახელმძღვანელოები“** და ასევე შეცდომაა **„სახელმძღვანელოების განათხოვრება“**. სწორი იქნება **„სახელმძღვანელოების უპროცენტოდ რამდენჯერმე გასესხება“**. გასესხებული სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის ვარგისიანობისა და ამოღების პროცესი ბანკების წესებზე უფრო გამკაცრებულია, რადგან მშობლები, დირექტორები და დამრიგებლები შიშით არიან შეპყრობილნი. შარშან სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ არდადაგებზე დამრიგებლები მოსწავლეების კარდაკარ დადიოდნენ **„გასესხებული“** სახელმძღვანელოების ამოსაღებად.

წელს სიტუაცია სულ სხვაგვარად შეიცვალა, სახელმძღვანელოების გასესხება ერთი სკოლის კლასების მოსწავლეების ნაცვლად სასკოლოთაშორისო კლასების მოსწავლეებს შორის ხდება. სასწავლო პროცესის დამთავრებისთანავე დამრიგებლები სახელმძღვანელოებს აფასოებენ თავიანთი კლასების თითოეულ მოსწავლეზე. ზედმეტი სახელმძღვანელოები კი ცალკე და ვინ იცის რომელ სკოლაში გაიგზავნება.

წინა წლის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, დამრიგებლებმა **„ჭკუა ისწავლეს“** და მოსწავლეებს სახელმძღვანელოები სწავლის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე ჩამოართვეს. მასწავლებლის კითხვაზე, თუ რატომ არ იციან მათ გაკვეთილი, ან რატომ არა აქვთ გაკეთებული დავალება, პასუხი მზადა აქვთ – იმიტომ რომ სახელმძღვანელოები ჩააბარეს. მკითხველმა მინდა იცოდეს, თუ ადრე სწავლის ხანგრძლივობა დაახლოებით 9-თვე იყო, ამჯერად ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გახდა 8 თვე.

– მე, როგორც მშობელი, უნდა მივესალმებოდე სახელმძღვანელოების **„უფასოდ გადაცემას“**. მაგრამ იმაზეც ხომ უნდა ვიზრუნო, რომ ჩემს მიერ, შვილისთვის მუდმივად საჭირო, სამუდამოდ საკუთრებაში წიგნის შესაძენად წელიწადში ერთხელ გაღებული თანხა ეკონომიკურად და ინტელექტუალურად წაადგება ქვეყანას, და რაც მთავარია, იარსებებენ, იქმნებიან და ვითარდებიან გამომცემლობები, მათ შორის დამყარდება ჯანსაღი კონკურენცია.

გამომცემლობები არის ყველაფერი, გამომცემლობები არის ქვეყნის ეკონომიკა, ინტელექტუალური დონე და მისი განმსაზღვრელი. ინტელექტუალური განვითარება კი, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის, არსებობის და გადარჩენის მთავარი გზაა – ჩვენი შვილების გადარჩენაა. მინისტრის ნათქვამი, **„დაზოგილი თანხა სხვა რამისთვის გამოიყენონ“** გაუმართლებელია.

– მე, როგორც მასწავლებელი და არამარტო მე, არ მეგულება თუნდაც ერთი მასწავლებელი, რომელსაც მოსწონდეს მოსწავლეებზე სახელმძღვანელოების ჩამორთმევა და წინა კლასის წიგნების გარეშე დატოვება. თუ არაფერს არ ამბობენ, ეს იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, საზოგადოება მიაჩვიეს აზრს: **“ძაღლი ყეფს ქარავანი მიდის”.**

– მე, როგორც მოქალაქე, დარწმუნებული ვარ, რომ უამრავი ადამიანი, სკოლის დამთავრების შემდეგაც, წლების განმავლობაში აკურატულად ინახავენ სახელმძღვანელოებს. და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ კიდეც.

– მეც, ზოგიერთი მოქალაქეების მსგავსად, ხელისუფლების მიერ სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემას **„პიარი“** ვუწოდე, რაშიც შევცდი. პიარის შემთხვევაში ერთი მხარე მაინც რჩება მოგებული. ჩვენს შემთხვევაში კი ორივე მხარე აშკარად წაგებულია. მე, არაფერს ვამბობ:

– შეწყვეტილ საქმიან კავშირზე, პედაგოგებსა და ავტორებს შორის;

– ავტორების უმოქმედობაზე და მათ შორის შეწყვეტილ კონკურენციაზე;

– ახალი გაუმჯობესებული სახელმძღვანელოებისა და გაუმჯობესებული მასწავლებელთა სარეკომენდაციო წიგნის გამოუცემლობაზე;

– ავტორების, სპეციალისტების ან სპეციალისტთა ჯგუფების მიერ ყველა კლასში, ცალკეულ საგნებში, საგნის სწავლების მეთოდური სახელმძღვანელოების გამოუცემლობაზე. (რომელიც ჩაენაცვლებოდა სხვა ძვირად ღირებულ ტრენინგებს);

– პედაგოგების შეუძლებლობაზე – ერთი ავტორის სახელმძღვანელო შეცვალონ სხვა მათთვის მისაღები ავტორის სახელმძღვანელოთი;

– როგორც მოსახლეობის, ისე სკოლის ბიბლიოთეკების სასკოლო სახელმძღვანელო წიგნების გარეშე დარჩენაზე. და ა.შ.

შარშან სახელმძღვანელოების 40% შეიქმნა დასაბეჭდი. ვივარაუდე, რომ წელს 80% იქნებოდა დასაბეჭდი. თურმე შევცდი. წელს საერთოდ არ დაბეჭდეს სახელმძღვანელოები. ე.ი. გაჩერდნენ გამომცემლობები, გამომცემლობების გაჩერება კი აღვიქვათ ქვეყნის ინტელექტუალური განვითარების შეფერხებად. ე.ი. საფრთხე ექმნება ქვეყნის გადარჩენის გზას. ამიტომ გამომცემლებს, გამომცემლობებს მინდა მივმართო: არ დანებდეთ! საფრთხე არ შეუქმნათ ქვეყნის გადარჩენის გზას. სულ ცოტაც მოითმინეთ, ხელისუფლების, ბავშვური ქმედების გამო თქვენს 3-წლიან გაჩერებას მალე ბოლო მოეღება. ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი ქვეყნის სასიკეთოდ იქნება.

P.S. სულ ახლახან გავიგე, რომ სახელმძღვანელოებს ყდას უცვლიანო. შეიძლება საზოგადოება მოატყუოთ მაგრამ ბავშვების მოტყუება არ გაბედოთ, თორემ თქვენ სახელითაც აღარ მოგიხსენიებენ. ისე, როგორც ბერიაზე სახელის ნაცვლად **„აჩქებიანს“** ამბობენ. თქვენზე კი ანდაზის მსგავსად იტყვიან: **“ბარეთ ახალი, შიგნით ნახმარი”.**

ᲓᲔᲛᲣᲠ ᲙᲣᲮᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

გიორგი ჭყონდიდელისათვის მონუმენტი უპრიანია

ღირსი გიორგი ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი **„კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, გამჭრიახი, სვიანი და ფრთხილი"** დაიბადა XI საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ვარაუდობენ, გიორგი სამეგრელოს მთავართა საგვარეულოს გვარიდან იყო (**„ქართველ წმინდათა ცხოვრებანი"**, თბილისი, 2007).

მეუფე გიორგი ჭყონდიდელი იყო დავით აღმაშენებლის **„აღმზრდელი და თანაგამკაფველი ყოველთა გზათა და საქმეთა და ღვაწლთა მისთა"**. გიორგი **„ვითარცა მამა მეფისა, აგრეთვე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების". მეუფე გიორგი იყო "მართლ-მსაჯული უღონოთა და ქვრივთა ხელისამპყრობელი".**

1104 წელს მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების **„ძეგლისწერა"** წმინდა გიორგი ჭყონიდელს **„კრების თვალს"** უწოდებს და კურთხევით იხსენიებს მის მეუფეობას.

დიდი ადამიანის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა ირგვლივ ჭკვიანი ხალხის შემოკრება. ასე მოიქცა საქართველოს უზენაესი ბრძენი მეფე დავით აღმაშენებელი, რომელმაც გიორგი ჭყონდიდელი ყველა კარისკაცზე მეტად დაიახლოვა. მეფე დავით აღმაშენებელი სიბრძნის, ერთგულებისა და პატიოსნების გამო როდი მიაგებდა პატივს გიორგი ჭყონდიდელს და სხვა საეკლესიო პირებს (მაშინდელ კათოლიკოს იოანეს, არსენ იყალთოელს...), ქართული ეკლესია მას მიაჩნდა საქართველოს ჭეშმარიტ გამაერთიანებლად და მესაჭედ, რომელსაც შეეძლო უფლის შემწეობით განეახლებია, სულიერების ახალ საფეხურზე აეყვანა ქართველი ერი, სწორედ ყოველივე ამით შეიქმნა დავითისა და თამარის ოქროს ხანა.

მეფის ბრძნულ განჭვრეტას ახლდა საკანონმდებლო აქტები, გიორგი ჭყონდიდელი ქართული ქრისტიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა. რუის-ურბნისის კრებაზე, გიორგი ჭყონდიდელს, სასულიერო პირს, მწიგნობართუხუცესის თანამდებობა ებოძა და ამით იგი გახდა მეფის შემდეგ პირველი კაცი.

ჭყონდიდელისა და მიწგნობართუხუცესის უფლებების ერთი პიროვნების ხელში თავმოყრა მეფეს საშუალებას აძლევდა სახელმწიფოებრივ-ეროვნული თვალთახედვით ჩაეხედა საეკლესიო საქმეებში.

გიორგი ჭყონდიდელი ჭეშმარიტად ღირსეულად ითავსებდა სასულიერო და საერო სადავეებს, მეფე სასულიერო და საერო საქმეებს არ წყვეტდა ჭყონდიდელის გარეშე. იგი ჯვრისა და ხმლის ერთნაირად მატარებელი იყო. გიორგი ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით მოხდა ციხე-ქალაქ სამშვილდეს აღება 1110 წელს, შემდეგ მტრისგან განთავისუფლდა რუსთავი (იქ მცხოვრებ ქართველებს ხომ გამუსლიმანება ელოდა). სამშვილდის დაკარგვით შეშფოთებულმა თურქეთის სულთანმა ასიათას-კაციანი ლაშქარი გამოგზავნა, დავით აღმაშენებელი მომხდურებს მზად დახვდა და უკუაქცია.

გიორგი ჭყონდიდელი ახლდა მეფეს ჩრდილოეთ კავკასიაში. ოსეთთან და ყივჩაღებთან ურთიერთობის დარეგულირებით შესაძლებელი გახდა ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლების მოგვარება. სამწუხაროდ, გიორგი შედეგებს ვერ მოესწრო. იგი ოსეთში მოულოდნელად აღესრულა 1118 წელს. მეფე დავით აღმაშენებელმა (მთელმა საქართველომ) ღირსეულად იგლოვა გიორგი ჭყონდიდელი. მეფეს ორმოცი დღე ტანთ არ გაუხდია. გაიხადა მაშინ, როცა ძე ვახტანგი შეეძინა. მწუხარება სიხარულმა გადაფარა. იგი დაკრძალულია გელათში, ზუსტი ადგილი უცნობია.

ეს გახლავთ მოკლე დოსიე საქართველოს უპირველესი მეფის აღმზრდელის შესახებ.

1989 წლის 25 სექტემბერს გეგეჭკორის რაიონში გრანდიოზული მასშტაბის ზეიმი ჩატარდა, აღინიშნა გიორგი ჭყონდიდელის მოღვაწეობის 900 წლისთავი. ღონისძიების სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ერუდირებული პატრიოტი, რაიონის თავკაცი ბატონი ვაჟა აბაკელია (საქართველოს პირველი პრეზიდენტის დროს გენერალური პროკურორი) საზეიმო იერი ჰქონდა რაიონს სილამაზესა და სიმშვენიერეზე ზრუნვის შედეგად. საქართველოს ყველა კუთხიდან ესწრებოდა დელეგაციები, ხოლო ისტორიულ სოფელ სალხინოს ცენტრში წარმოდგენილი იყო რაიონისათვის დამახასიათებელი ხელწერის ნიმუშები გამოფენის მსგავსად.

დღესასწაულს ესწრებოდა საქართველოს პარტიული, სასულიერო ელიტა. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, გამოჩენილი თვალსაჩინო მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები, უცხოეთიდან მოწვეული სტუმრები.

ამ საზეიმო დღესასწაულის გვირგვინი იყო მარტვილის სამონასტრო კომპლექსის – დასავლეთის მხარეზე გიორგი ჭყონდიდელის უკვდავსაყოფად ძეგლის აღსამართავი ადგილის საქართველოს პატრიარქის ილია II მიერ კურთხევა.

ბატონ ვაჟა აბაკელიას ჩანაფიქრით ძეგლი მაღალ სიმაღლეზე უნდა აღმართულიყო. იგი გაჩირაღდნებული გამოჩნდებოდა გურიიდან, იმერეთიდან და ფოთის მიდამოებიდან. იმ დროს დადგმული ქვის ლოდი წარწერით გვეუბნება, რომ **"აქ აღიმართება გიორგი ჭყონდიდელის ძეგლი".**

გიორგი ჭყონდიდელის სახელის უკვდავსაყოფად ერთ-ერთ საჯარო სკოლას ჰქვია გიორგი ჭყონდიდელის სახელი, მარტვილის ცენტრში აღმართულია ობელისკი, ყოველი წლის 25 სექტემბერს მეუფე პეტრეს და რაიონის ხელისუფლების ხელმძღვანელობით აღინიშნება გიორგი ჭყონდიდელისადმი მიძღვნილი დღესასწაული.

ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ გიორგი ჭყონდიდელმა 900 წლის წინ აიგო უკვდავი ძეგლი.

რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი აწ გარდაცვლილი ნაული ჯანაშიას **„სავარძელი"** ღირსეულმა უნდა დაიკავოს. ნათელში ამყოფოს ღმერთმა ნაულის სული, მან რაიონის სულიერ და მატერიალურ სფეროში თავისი სიტყვა თქვა და ძეგლიც აიგო და მას მადლიერებით მოიხსენიებს მომავალი.

ამ წელს მაჟორიტარი დეპუტატის ასარჩევად არჩევნები ჩატარდება. დეპუტატობის კანდიდატები ბევრ რამეს გვპირდებიან, იქნებ გამოჩნდეს ისეთი ერუდირებული, პატრიოტი მეცენატი, ფინანსურად უზრუნველყოფილი, რომელიც გიორგი ჭყონდიდელის ძეგლს აღმართავს საქართველოს პატრიარქის ილია II-ის მიერ 1989 წლის 25 სექტემბერს ნაკურთხი მიწის მონაკვეთზე. ამით ის პიროვნება (დეპუტატი) სიცოცხლეშივე უკვდავ ძეგლს აიგებს. გიორგი ჭყონდიდელის მონუმენტის აღმართვა კურთხეულ მიწაზე ეს იქნება ეროვნული ღირსების ამაღლება. მომავალმა თაობამ უნდა იამაყოს წინაპრებით, წარსულით. **„აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა"** გვასწავლის ბრძენი. ბუნებრივია წელს 25 სექტემბერს ბატონ მეუფე პეტრეს (სულიერ წინამძღოლს) და რაიონის ხელმძღვანელობის თაოსნობით ღირსეულად აღინიშნება **"ჭყონდიდელობა".** მაგრამ ამ დღესასწაულის გვირგვინი იქნება იმ პიროვნების გამჟღავნება, ვინც თავისი ფინანსური სახსრებით გიორგი ჭყონდიდელის მონუმენტს აღმართავს კურთხეულ ადგილზე. ამერიკელი საზოგადო და სამხედრო პიროვნება დუაიტ ეიზენჰაუერი წერდა: **"ჭეშმარიტი დემოკრატიის ჭეშმარიტი ლოზუნგი არ არის „დაე, ეს გააკეთოს ხელისუფლებამ",** არამედ **„მოგვეცით საშუალება ჩვენ თვითონ გავაკეთოთ"** (სიბრძნის ენციკლოპედია, გვ. 147).

გიორგი ჭყონდიდელის ძეგლი უნდა იქნეს ის ადგილი, სადაც ჩვენი მომავალი თაობა ყოველწლიურად პატივს მიაგებს დიდ ეროვნულ პიროვნებას. ისე როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წამოაყენა ინიციატივა დიდგორის დღესაწაულზე, რომ დიდგორის ველი საქართველოს ყველა მოწაფემ უნდა ნახოსო.

ჩემო მარტვილელებო, მეცენატებო, ბიზნესმენებო, პატრიოტებო, ზემოთ აღნიშნული რეალურად შესაძლებელია. ამ კუთხის უდიდეს შვილს უკვდავს, გიორგი ჭყონდიდელს ძეგლი საუკუნეების შემდეგ – მშობელმა კუთხემ აუგოს (ხომ გაიჟღერა, რომ იგი ამ კუთხის შვილია, დადიანის მემკვიდრეა ვარაუდით).

P. S. 1. ღირსეულ არსებას, ძაღლს იაპონიაში აუგეს ძეგლი, რადგანაც იგი პატრონის სიყვარულის მსხვერპლი გახდა, მისი გარდაცვალებით დამწუხრებული ჯავრს გადაჰყვა.

2. როგორც კი მაჟორიტარი დეპუტატის სავარძელი განთავისულდა, მაშინვე გამიელვა ზემოთ აღნიშნულმა და ვისაც გავუზიარე ყველა დადებითად შეხვდა. გაზეთში გამოვამზეურე გვიან, მაგრამ ჯერაც არ არის გვიან.

3. ვენაცვალე იმ მარტვილელს, საერთოდ იმ ქრისტიან ქართველს, ვინც გიორგი ჭყონდიდელს პატრიარქის მიერ ნაკურთხ მიწაზე ძეგლს (მონუმენტს) აუგებს. თუ მას დასჭირდება არჩევნებში ხმას კი არა გულსაც მივცემ.

ვაჟა მარგოშია,
პენსიონერი, სოფლის მეურნეობის
დამსახურებული მუშაკი,
მარტვილი

"გრინპისმა" გენმოდიფიცირებული პროდუქტების სია გაასაჯაროა

ორგანიზაცია **"გრინპისმა"**, რომელიც სამყაროს ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის იღვწის, ინტერნეტში გამოაქვეყნა გენმოდიფიცირებული პროდუქტების სია. სია გავრცელდა ბევრ საიტსა და სოციალურ ქსელში. არის თუ არა ეს ინფორმაცია ნამდვილი? სიაში მსხვილი მწარმოებლები არიან. ბევრი მათგანის პროდუქტი შემოწმებულია და დადასტურებულია მათში გემოდიფიცირებული შემადგენლობების არსებობა, თუმცა ზოგიერთი კომპანია სიაში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ **"გრინპისს"** არ მიაწოდა ინფორმაცია თავისი პროდუქციის შემადგენლობაზე. ბევრი მწარმოებელი თავს იმართლებს, რომ აქვს საჭირო დოკუმენტები, თუმცა მათთვის არავის მიუმართავს ამ საკითხზე. ასეა თუ ისე, ინფორმაცია გავრცელდა და რაკი ეჭვი გაჩნდა, სავარაუდოდ, არც მთლად სუფთად არის საქმე. ყველაზე ამაღელვებელი და შემაშფოთებელი კი აქ ის არის, რომ სიაში ძირითადად ბავშვთა კვების პროდუქტებია.

ჩვენ სიას გთავაზობთ და არჩევანი თქვენზეა, ენდოთ **"გრინპისს"** თუ აღნიშნული კომპანიების კეთილსინდისიერებას.

კიდევ ერთხელ თუ გავიმეორებთ, **Greenpeace** ამტკიცებს, რომ ზოგიერთი კომპანია მხოლოდ იმის გამო მოხვდა სიაში, რომ არ წარადგინა ინფორმაცია საკუთარი პროდუქტების შემადგენლობაზე. მწარმოებლები კი, თავის მხრივ, ამტკიცებენ, რომ მათ ყველანაირი დოკუმენტაცია აქვთ და რომ ინფორმაციის მიწოდება მათთვის არავის უთხოვია.

მაშ ასე, იყავით ფრთხილად! კარგად შეისწავლეთ პროდუქტების შეფუთვაზე მოცემული ინფორმაცია.

პროდუქტების სია:

1. **Snickers**
2. **McDonald' s-ის პროდუქცია**
3. **Nestle-ს ბავშვთა კვება.**
4. **ჩაი Lipton-ი.**
5. **M&M' ს.**
6. **Twix.**
7. **Milky Way.**
8. **შოკოლადი და კაკაო Cadbury.**
9. **Ferrero.**
10. **Nestle-ს პროდუქცია.**
11. **შოკოლადის სასმელი Nestle Nesquik.**
12. **C o c a-C o la.**
13. **Sprite, Fanta**
14. **Pepsi.**
15. **7-Up**
16. **Kellogg' s-ის მშრალი საუზმეები.**
17. **Knorr-ის სოუსები.**
18. **ორცხობილა Parmalat.**
19. **Hellmann' s-ის მაიონეზები, სოუსები, კეტჩუპები**
20. **Heinz-ის მაიონეზები, სოუსები, კეტჩუპები**
21. **Uncle Bens Mars-ის ბრინჯი**
22. **Hipp-ის პროდუქცია**
23. **Abbot Labs Similac-ის საბავშვო ნარევები.**
24. **Danon-ის იოგურტი, კეფირი, ყველი, საბავშვო პროდუქცია**
25. **Campbell-ის სუფები**
26. **Kraft-ის ჩიფსები, კეტჩუპი, ბავშვთა კვება**
27. **Unilever-ის პროდუქცია.**

P.S. რასაკვირველია, საიტი საკუთარ კვლევებს ვერ აწარმოებს და მხოლოდ ის შეგვიძლია, გავრცელებული ინფორმაცია მკითხველამდე მივიტანოთ. მსგავსი სიები აქამდეც ბევრჯერ გავრცელებულა და ალბათ კიდევ გავრცელდება, ასეთ სიებში არა მხოლოდ გენმოდიფიცირებულ საკვებზე მიგვანიშნებენ ხოლმე, არამედ ბევრ საშიშ კონსერვანტზე, ემულგატორზე, საღებავზე და ა.შ., რითაც სავსეა თანამედროვე პროდუქტები. ამიტომ საჭიროა, ასეთი სახის ინფორმაცია ყველას ჰქონდეს. თუმცა მათ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე ვერც ერთი მედიასაშუალება თავს ვერ დადებს. ჩვენ მხოლოდ ინფორმაციის გავრცელება შეგვიძლია – რაც მეტად ინფორმირებულია ადამიანი, მით მეტად დაცულია. ის კი ყველასთვის ცნობილია, რომ ზოგადად ქარხნულ პროდუქციაში ხშირად არის საეჭვო ინგრედიენტები და მხოლოდ მწარმოებლების კეთილსინდისიერების იმედად, სამწუხაროდ, ვერ ვიქნებით. გვინდა ისიც კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ ყველაფერს მაინც შინ, საკუთარი ხელით მომზადებული საკვები ჯობს, მით უმეტეს, ბავშვებისთვის და თუ რაღაცას ვყიდულობთ, აუცილებლად კარგად უნდა გავეცნოთ მის შემადგენლობას.

ორი გოგის თვალსაზრისი!

საქართველოს მოყვარული მამულიშვილები რომ არასოდეს აკლდა, ეს არაა სადაო! ახლაც, რომ მრავლად ჰყავს, არც ეს არის საკამათო! უფლის წყალობით, იმედია, არც მომავალში მოაკლდება!

„ქოცები“ ხბოს აღტყინებით, თუთიყუშებივით რომ იმეორებენ **„ნაცები“**-ს უცხოელი პატრონების დავალებებს – ევროკავშირისა და **ნატო**-სკენ სწრაფვის უაზრო ლოზუნგებს, აი ეს არის გასაოცარი! მით უმეტეს იმის ფონზე, თუ რა დაპირებებს იძლეოდა ბიძინა ივანიშვილი და ხალხს ხელში რა შეგვრჩა?!

დასაწყისში საქართველოს მოყვარულ მამულიშვილებზე მოგახსენებდით. აი, ისინიც! ამ ცოტა ხნის წინ, ყოველგვარი შეფერილობისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე ბატონმა გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ დროა თავი დაანებოთ ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრას, საქართველოში **ნატო**-ს მომხრეები თითქმის არავინ არის, თუ არ ჩავთვლით ნაცებს, **„დზალიან“** თავისუფალ დემოკრატებს, რესპუბლიკელებს, ძღვენიჭამია **ასო**-ებს (**ასო**-ები ძალიან ცუდად ჟღერს, არა?) და თვით **„ქოცები“**-ს შემადგენლობიდან რამოდენიმე სუბიექტს! ასეთივე კატეგორიული ტონი ჰქონდა ბატონ გოგი ქავთარაძის განცხადებას! მანაც ყოველგვარი ბოდიშების გარეშე, (აქაც დაახლოებით) პირდაპირ განაცხადა – დროა წერტილი დაესვას **ნატო**-ს კარზე კაკუნ-ბრახუნს და მათხოვრის როლში ყოფნას!

მინდა ვკითხო ხელისუფლების იმ ნაწილს, რომელსაც საქართველო მართლა უყვარს!

ქალბატონებო და ბატონებო სანამდე (არჩევნები ახლოვდება!) აპირებთ ამ ეგრეთ წოდებული, **„მეგობრების“** წინაშე ვასალურ მდგომარეობაში ყოფნას? ნუთუ არ განიცდით სინდისის ქენჯნას? დასვით წერტილი, მიაფურთხეთ ეშმაკს, განერიდეთ ყოველივე ანტიქართულს, ანტიმართლმადიდებლურს და დაიწყეთ ადამიანურად ცხოვრება! ხოლო იმათ ვისაც ძალიან უნდათ სხვათა მონობა, ჩაატარეთ საყოველთაო გამოკითხვა ერთი შეკითხვით, გინდა თუ არა საქართველო იყოს ევროკავშირის და **ნატო**-ს წევრი? დაე ამ გამოკითხვამ გაარჩიოს თეთრი და შავი! ხომ ნახეთ როგორ ვაჟკაცურად მოიქცნენ ბერძნები! ჩვენც ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ არ ვართ ხელწამოსაკრავი ერი!

რამოდენიმე სიტყვით მინდა შევეხო ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ვიზიტს მოსკოვში!

თავშივე მინდა განვაცხადო – მე არავის **„აპეკუნობას“** არ ვაპირებ, მით უმეტეს ქალბატონი ნინოსი, ვინაიდან ის არის გამოცდილი იურისტი და თუ საჭირო გახდება, თვითონ შესანიშნავად დაიცავს საკუთარ უფლებებს! ეხლა რაც შეეხება ვიზიტს. როგორც კი ცნობილი გახდა მისი წასვლა, აქ ატყდა ერთი ვაი უშველებელი! არიქა ბურჯანაძე პუტინს ეახლა და რა გვეშველება, რას იტყვიან ჩვენი პატრონები იქ? ოკუპანტთან ჩავიდა სალაპარაკოდ! დაიწყეს წიოკობა თუ ხელისუფლების, თუ არაოფიციალურმა სუბიექტებმა, აი რა **„ბრძანა“** იუსტიციის მინისტრმა, ქალბატონმა წულუკიანმა: **„პუტინთან სტუმრობა და მისთვის ღიმილი არ მიმაჩნია განსაკუთრებული სიმამაცის მაჩვენებლად“**. ქალბატონო მინისტრო, თქვენთვის და თქვენსავით მოაზროვნეებისათვის, სიმამაცედ ითვლება, უცხოელი პატრონებისადმი მლიქვნელური ღიმილი? **„პატივცემულო“** უცხოეთის მონებო, არ გსმენიათ შოთა რუსთაველის შესახებ არაფერი? კი რუსეთის მეშვეობით, ჩვენ დღეს დაკარგული (დროებით) გვაქვს აფხაზეთი და სამაჩაბლო. იგი არის შესაბამისად ოკუპანტი. ჩვენ თუ გვინდა დავიბრუნოთ ჩვენი დაკარგული მიწები, ამისათვის საჭიროა ლაპარაკი მასთან, რუსეთთან, ვინაიდან დაკარგული მიწების დაბრუნების გასაღები დევს მხოლოდ რუსეთში და არა სხვაგან! თქვენი პატრონებიც ხომ გეუბნებიან, დაელაპარაკეთ რუსეთს! დიდი შოთა ბრძანებს: **„გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“**! როგორ გგონიათ, ოკუპანტები არ არიან აშშ, თურქეთი და ბევრი სხვა! ოკუპანტად მიმაჩნია ყველა ის სახელმწიფო, რომელსაც მითვისებული აქვს ჩემი ქვეყნის, თუნდაც მცირე ტერიტორია! იმათზე რატომ არაფერს ამბობთ? რა, პატრონები გიკრძალავენ?

დროა მივბაძოთ ამ შესანიშნავ ქართველებს და დავიწყოთ ჩვენი სამშობლოს აღორძინებაზე ფიქრი! საქართველო გამოსაგლეჯია ამ ხილული თუ, უხილავი ოკუპანტების ხელიდან! ჩვენ გასაკეთებელ საქმეს სხვა არ გააკეთებს! თუ საჭირო იქნება ჩვენი გასაღები სისხლი, ჩვენვე გავიღოთ! **„ქართველო ხელი ხმალს იკარ“**!

დრო აღარ ითმენს!

ჰფარავდეს სრულიად საქართველოს მამა ზეციერი და დედა ღვთისსმშობელი! ამინ!

ორი დაღუპული მებრძოლის მამა,
ანზორი დანელია

თემის გაგრძელება: ***ისე სხვათა შორის! ბატონებო, სანამ ასლან აბაშიძე იყო საქართველოში, აჭარაში ვერ შევიდნენ ვერც „მხედრიონელები“ და ვერც გვარდია! ასევე ვერ ბოგინობდნენ თურქები!***

მგონი მალე სულ აგვეკრძალება იქ ჩასვლა! ხომ არ დადგა დრო დაუბრუნდეს აჭარას ასლან აბაშიძე და მასთან ერთად სიმშვიდე?!

და აქვე არ შემიძლია, რომ არ ვთქვა! უბედურია დღეს საქართველო იმიტომ, რომ მას დანიშნული ჰყავს პრეზიდენტად მარგველაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარედ უსუფაშვილი, მინისტრებად კი (ამათზე იტყვიან, „უძაღლო ქვეყანაში, კატებს აყეფებდნენო“) ბერუჩაშვილი, სანიკიძე, ხიდაშელი, წულუკიანი, გიორგაძე, აგულაშვილი, კალაძე, ზაქარეიშვილი, ბაქრაძე, ადამიანის (თუ პიდარასტების) უფლებების დამცველად – ნანუაშვილი და სხვები!

ა.დ.

პოეზიის კუთხე

გურამ ეული

განვლილი ჟამი, წინ დამიდგა ნათელ დღესავით,
დიდი ხანია გაპარულა ცხელი ზაფხული
არვინ მოკეთე მეგობარი, არც ნათესავი
ვარ ნამეხარი, ხე უფოთლო შემოძარცული.
აიღე თასი, აზარფეშა ან და ბოკალი...
რა დაგრჩენია? რას უყურებ? ეშხით გადაჰკარ:
სევდა-ვარამი არ დაინდო, სულში მოჰკალი
და მხოლოდ მუზამ ინავარდოს ყველგან კარდაკარ.
ფერთა რიალში არ გახუნდეს ჰანგი სხვადასხვა,
მიეცი გეზი გონებას და სახსარს სრულიად,
სიცოცხლის ბოლო არ ყოფილა ხიდზე გადასვლა,
ეს აგონია, დუმილი და აღსასრულია.
ცოტათი მაინც მოალხინე სული სნეული,
ღვინოა შენი თანამდგომი და მეგობარი:
მიდი აშუღო, გადაჰკარი გურამ ეულის,
იმ სამყაროში გარდასახვის შესანდობარი.
გული გადუმდეს უქარცეცხლოდ არცა მგონია,
ისე არ ქრება არენიდან ბრძენი, აშუღი:
მისი სუნთქვაა მეხთატეხა, ხან აგონია,
სული არ კვდება ლექსებიდან გამონაშუქი.
თუმცა ადამის ვერაგობის მიმყვება ჯავრი,
მაინც მივყვები, მე ჩემს შარას, ქრისტეს კვალიანს:
აქამდე ვზიდე უდრტვინველად ეგ ჩემი ჯვარი
გოლგოთის მთაზე სულ ცოტაზე ასატანია.

ბორჯი რტინელი

ბორჯი ვეგიჩემინე დო დუც ეიშკვანც გერტებუნი.
თელ ქიანა მის უძირუ, ართი მითინც გეტებული.
დასაბაღუ სორე რინა, ორძღაფალი დო გეტებული?
შურს გოლებუ, ვართ იგინა, დღა დელიებ-გეთებუნი.
ვართი ეშე ელანჭუქუ, ვემიდგინე ჩართი-კიბე;
ბგინაფულენთ, ამარ ვორწყეთ, ნიტე სოთინ განმიკერდენ,
ის ვაუღუ ვართ დაჭყაფუ, ოთებუ დო ვართი კიდე,,,
ვაგაჭოფე, ვაგახვილე, ხე დო თოლი ვამიკიდე.
ღორონთიში კანონი რე; მუჟამს ბორჯი გერტებუნი,
მუჭოთ მაჭირხოლიში ბუდე გერანზოთონს მეტებული,
გვალო თეში, უხანდებო კვინჩას აფუ გეტებული.
მონდა სხული ღეჯიში რე დო კატუში ჩხე ყებური.
ვააფე დო ვართი იცი კოჩი ფარაში კეთებული;
ვარძღელედო ვართი ირძღუდა სარქათი თუ ჩხე გური.
ოქროშ ტახტი რგილი ორე, ვაგიტიბე თეთ ცებური.
სოდეთ ჯგირიში ოთებუ რენ, დოთიჭყაფუ თექ თეფური.
თი ქიანას ვამიჩქუდო კოც ღეჯალა თაქ ალარე;
მეტი ბორჯიც გოთიარზუ მიდგა ტვინით ქაქალა რენ;
თი ღვენა დო უღვენობა მინ რზენი დო ფაფალა რე;
მიდგას თენა ოსვენუნი ღორონთ ონწუ მაფალარებს.
კოჩანიერი კოჩი ორე; კოჩი სვენათ მოკებული,
გარული დო ნოტყელი რე კოჩი სვინდისი მოკრებული.

გურამ ჯიქია,
ჩხოროწყუ, ლესიჭინე

მორალური შეტევა საქართველოს წინააღმდეგ და პატრიარქის სტრატეგიული აზროვნება

სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს, საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან ბოლო პერიოდში გადადგმული გარკვეული ნაბიჯები. ჩვენ უკვე მიგვაჩვიეს იმას, რომ უკრაინის ხელისუფლება, ამერიკელების მითითებით, მფარველობას უწევს დამნაშავე სააკოიდური რეჟიმის ბობოლა წარმომადგენლებს, პირადად სააკაშვილის ჩათვლით. მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელი იყო ის, რომ სააკაშვილი თავს აზერბაიჯანის დედაქალაქში ამოჰყოფდა, თანაც პრეზიდენტ ალიევის მიწვევით, რათა საქართველოს მისამართით დამცინავი განცხადებები გაეკეთებინა. სად, თუ არა აზიურ აზერბაიჯანში უწყიან, რომ ასეთი ნაბიჯი პირდაპირი შეურაცხყოფაა მეზობელი სახელმწიფოსათვის და მისი ხელმძღვანელობისთვის, ამ შემთხვევაში – საქართველოსთვის. მაგრამ ალიევმა ეს ნაბიჯი გადადგა.

ამას დაემატა სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარის, გალუსტ სააკიანის მიერ სამხრეთ ოსეთის ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის, ბიბილოვის მიღება. არც ამ შემთხვევაშია სავარაუდებელი, რომ სომხეთის ხელისუფლებას არ ესმოდეს, რას ნიშნავს ასეთი ნაბიჯის გადადგმა. მაგრამ სომხეთმაც გაუბედა საქართველოს პროვოკაცია.

ამ დროს კი რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება? ფაქტები: საქართველოს მთავრობის "საუკეთესო მინისტრად" მიჩნეული, "რეცეპტომანიით" შეპყრობილი ჯანდაცვის მინისტრი სერგეენკო უკრაინაში მიემგზავრება იქაური ანტიქართული ხელისუფლების მიმართ რევერანსების გასაკეთებლად. სერგეენკო მონაწილეობას ღებულობს "ინვესტორთა ფორუმში", თითქოს საქართველოს რაიმე ინვესტიციის განხორციელების თავი ჰქონდეს, შემდეგ კი, როგორც ინტერნეტში ვიხილეთ ფოტოები, უკრაინული წარმოშობის ქართველი მინისტრი საქართველოს საელჩოში ხვდება "ნაცების" დროინდელ ჯანდაცვის მინისტრს, აქამომდე უკრაინის "აღმშენებლობაზე" მოამაგე კვიტაშვილს. არა მხოლოდ ხვდება, არამედ "ჩახუტების" ფოტოებს იღებს მასთან და კბილებდაკრეჭილი იბადრება.

აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს ხელისუფლების რეაქცია არანაკლებ სამარცხვინოა. ალიევს მთლიანად "გაუტარეს" თავხედობა და პროვოკაცია. დიპლომატიური ნოტაც კი ვერ აკადრეს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, სომხეთის ხელისუფლებამაც მოუსინჯა კბილი საქართველოს ხელისუფლებას და სააკაშვილის ასოციაციის გამოსაწვევად, სააკიანს, მოაწვევინა ოსური ხელისუფლების წარმომადგენელი. საქართველოს ხელისუფლების რეაქცია ამ შემთხვევაშიც მეტად პასიური და უღიმღამო გამოდგა. სომხეთსაც ისევე შერჩება პროვოკაცია, როგორც უკრაინასა და აზერბაიჯანს.

აქვე აუცილებლად მინდა, აღვნიშნო: ეს ფაქტები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს ქართულ საზოგადოებაში ანტიუკრაინული, ანტიაზერბაიჯანული და ანტისომხური განწყობების საწინდარი. უკრაინას დღესდღეობით სუვერენიტეტი დაკარგული აქვს, მისი სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ხაზინა თითქმის ცარიელია, ყირიმი და ინდუსტრიულად უმნიშვნელოვანესი დონბასი – დაკარგული. ყველანი ვხვდებით, რომ "ნაციონალების" პარპაში უკრაინაში ამერიკელების დაკვეთაა, რომელსაც ერთგულად ასრულებს კიევის მარიონეტული ხელისუფლება. ხოლო თუ რაში სჭირდებათ ამერიკელებს "ნაციონალების" გადარჩენა, ამაზე ადრეც ბევრჯერ დავწერეთ და ამჟამად აღარ შევაჩერებთ ყურადღებას.

აზერბაიჯანი, თავის მხრივ, საკუთარ ინტერესებს მისდევს, ისევე, როგორც სომხეთი. მათ ადგილზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფო მოახდენდა საკუთარი უპირატესობის დემონსტრირებას საქართველოს წინაშე, რომელიც ბაქოდან, ერევნიდან და თვით არეულ-დარეული კიევიდანაც კი ისე ჩანს, რომ ქაოსის პირას დგას. ამიტომ, გაბრაზება უკრაინელ, აზერბაიჯანელ და სომეხ ერებზე უაზრობაა. ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, რით უნდა ვუპასუხოთ მეზობელი სახელმწიფოების გათავხედებას და არ ავყვეთ ნაციონალისტურ, ქსენოფობურ გრძნობებს.

სამწუხაროდ, ამაზე დაფიქრებას არ აპირებს საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც მისი მოწინააღმდეგეები ყველაზე უფრო ხშირად, სიტყვას "უნიათო" უწოდებენ. ხელისუფლება, ელემენტარულად, ტურისტების დაცვას ვერ ახერხებს "ნაციონალების" ბანდიტებისაგან, რომლებმაც თვითნებურად გამოაცხადეს წმ. გიორგის ორდენის ბაფთა – გამარჯვების სიმბოლო "ოკუპაციის სიმბოლოდ" და რუს ტურისტებს ამ ბაფთებს ძალადობრივი გზით ართმევენ, ამით კი საფრთხეს უქმნიან მთელ ტურისტულ ინდუსტრიას საქართველოში, რომელიც ჩამკვდარი იყო და სწორედ რუსმა ტურისტებმა გამოაცოცხლეს ორი წლის წინ. ან, ელემენტარულად, თბილისის მერიას ის ვერ გაუბედავს, რომ მარჯანიშვილის ხიდის ულამაზესი მოაჯირი, ახალაიას ნაბიჭვრების მიერ არშემდგარი სახელმწიფო უკრაინის დროშის ფერებად გადათხაპნილი, ისევ შეღებოს ნორმალურად. ამისთანა ხელისუფლებისაგან, რომელიც რამდენიმე ნაბიჭვარს ვერ უმკლავდება, რას უნდა ველოდოთ? ესენი გაუბედავენ რამეს ალიევს? რა თქმა უნდა, არა.

საქართველოს სჭირდება სტრატეგიულად, გეოპოლიტიკურად მოაზროვნე ერთი კაცი მაინც, მთავრობაში. ქალბატონი საგარეო საქმეთა მინისტრის ბერუჩაშვილისადმი პატივისცემის მიუხედავად, არის ეს ქალბატონი ამ სტილის პოლიტიკოსი? სასაცილოა. სხვა მინისტრებზე ხომ არაფერს ვიტყვი. ჯერჯერობით, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ასეთი სტრატეგის ფუქციას ჩვენი ეკლესიის მეთაური, მისი უწმინდესობა, ილია მეორე ითავსებს, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული საქართველოსათვის რუსეთთან ურთიერთობის მნიშვნელობა, რაც არ გამორიცხავს კეთილ ურთიერთობებს სხვა მეზობლებთან, არამედ პირიქით, ყველაფერს დაალაგებს თავის ადგილზე: აზერბაიჯანს აღარ ექნება მონოპოლია ჩვენს ენერგეტიკულ ბაზარზე და მეტი ყურადღებით მოეპყრობა საქართველოს გეოგრაფიულ მნიშვნელობას, რადგან საქართველოს გარეშე აზერბაიჯანი კასპიის ზღვაზე მიჯაჭვული, რუსეთსა და ირანს შორის გამოკიდებული სუსტი სახელმწიფოა, სომხეთის სისუსტეებზე კი საუბარიც ზედმეტია, იმდენად აშკარაა. ასე რომ, უფრო მეტად დავუჯეროთ ჩვენს პატრიარქს, ვიდრე გამყიდველ პოლიტიკოსებს!

გულბაათ რცხილაძე

რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისა და ერისათვის დასავლეთის მიერ თავსმოხვეული "ღირებულებების" გაზიარებას?

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)

წყნარ შვედეთში ყოველ ღამე იწვის ავტომანქანები, ორი წლის წინათ იგივე ხდებოდა პარიზში. ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ მოსაზრებები. ეს პროცესი ძალიან მძიმე და, ალბათ, სისხლიანი იქნება, ფაშისტური უკიდურესობებით, როგორც ეს ევროპას ისტორიულად სჩვევია, მაგრამ ის გარდაუვალია. ევროპის ერებს ჯერ კიდევ აქვთ პოტენციალი, რომელიც საკმარისია აღზევებისთვის. საქართველოს კი ასეთი პოტენციალი არ აქვს. თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ **"ღირებულებებს", დავიღუპებით".**

როგორ შევაჩეროთ გეიკულტურის აგრესია

"წიგნების გამომცემელთა, ტელეარხების, კინოგაქირავების სინდისსა და ეროვნული გრძნობების იმედად ყოფნა უაზრობაა, რადგან ამის უკან დიდი ფული დგას. საჭიროა ცენზურა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს. სახელმწიფო ვალდებულია, ერის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე იზრუნოს; ვალდებულია, დაიცვას ახალგაზრდა თაობა ეროვნული მსოფლმხედველობისთვის უცხო ტენდენციებისა და გავლენებისგან, თუნდაც ისინი თანამედროვე ევროპული და ამერიკული კულტურის ნაწილი იყოს. ბუნებრივია, საუბარი არ არის ჰომოსექსუალთა მიერ შექმნილი ნაწარმოებების აკრძალვაზე. ყველას წაგვიკითხავს მარსელ პრუსტის, სომერსეტ მოემის, ვირჯინია ვულფის რომანები, რემბოსა და ვერლენის ლექსები, მოგვისმენია ელტონ ჯონისა და ფრედი მერკურისთვის, მაგრამ, ალბათ, მცირე ნაწილი თუ დაფიქრებულა მათ სექსუალურ ორიენტაციაზე. სამაგიეროდ, ამერიკელი ვიდალ გორი ასევე ნიჭიერი მწერალია, მაგრამ მისი რომანები პედერასტიის დიდ პროპაგანდაა. ასეთი ნაწარმოებები არ უნდა ხვდებოდეს წიგნის ბაზარზე.

პედერასტიის გავრცელების წინააღმდეგ მოქმედება არ არის მარტივი საქმე, მით უფრო, როდესაც ეს ამერიკაზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს შეეხება. საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია. არ ვიცი, ჩვენს საზოგადოებას შესწევს თუ არა კონსოლიდაციის უნარი, მაგრამ მხოლოდ ასეა შესაძლებელი, ერთი მხრივ, აიძულო ხელისუფლება, დაიცვას ერი გახრწნისგან, მეორე მხრივ კი, ხელისუფლებას მიეცეს კოზირი ამერიკელ პატრონებთან ურთიერთობისთვის, რაკი ხალხი ერთსულოვნად წინააღმდეგია, მის მოსამზადებლად დრო მოგვეცითო. ამან შეიძლება იმუშაოს".

რისთვის უნდოდა ხალხს ხელისუფლების შეცვლა

ბიძინა ივანიშვილმა "ნაციონალთა" მმართველობისგან გვიხსნა და ხალხი ამისთვის მისი მადლიერია. ხალხი მას ენდობა და ბუნებრივია, რომ მოთმინებით ეკიდება მის გაუგებარ პოლიტიკურ სიმპათიებსა თუ სრულიად მიუღებელ საკადრო დანიშვნებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხს ხელისუფლების შეცვლა იმისთვის უნდოდა, რომ საქართველოში არ ჩატარებულიყო გეიაღლუმები, ტელევიზიებს არ გაერყვნა ახალგაზრდობა, სახელისუფლო სტრუქტურებს დაეცვა ტრადიციული სულიერი ღირებულებები, მორალური ნორმები; მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის სოციოკულტურული თვითმყოფადობისთვის, მისი სპეციფიკური თავისებურებებისთვის და სწორედ ამით იქნებოდა უზრუნველყოფილი ერის შენარჩუნება. ამას დაგვპირდა "ქართული ოცნება", ისევე, როგორც დაგვპირდა აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენას, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. ჯერჯერობით ხალხი მოლოდინისა და იმედის რეჟიმშია".

აი, ამას ამბობდა პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია 2 წლის წინათ, თუმცა მისი შეფასებები და დასკვნები დღესაც აქტუალურია.

ვასალ ხელისუფლებას და, მით უმეტეს, მის სიუზერენს, საქართველოს შემთხვევაში – დასავლეთს, კონკრეტულად კი, აშშ-ს, არ სურს ჰყავდეს განათლებული მოქალაქეები, რომლებიც ყველა საკითხში გაერკვევიან, რადგან გაუნათლებელი ადამიანების მართვა გაცილებით იოლია. პირველი, რაც ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებმა საქართველოში მოიმოქმედეს, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ნგრევა იყო; ამას მოჰყვა იერიში ეროვნულ ფასეულობებსა და ტრადიციებზე, მართლმადიდებლობაზე, რაც დღესაც გრძელდება იმიტომ, რომ სურთ, ახალი ჯიშის ქართველი გამოიყვანონ – გაუნათლებელი, უკულტურო, უტრადიციო, ზნეობრივად დაცლილი; ქართველი, რომელიც 30 ვერცხლის (გრანტის) სანაცვლოდ ყველაფერზე თავს დაუკრავს, ყველაფერს მიესალმება, რასაც დასავლეთი უბრძანებს და რაც მის ეროვნულ იდენტობას გაანადგურებს.

გაიხსენეთ, რა იყო ე.წ. დასავლური დემოკრატიის პირველი ნაბიჯი საქართველოში. – პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოღება. ამას მოჰყვა ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი (2014 წლის მაისში), რომელიც საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო და რომელმაც საფუძველი მოუმზადა ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებას ჩვენს ქვეყანაში.

შედეგად, **ლგბტ** თემი ისე გააქტიურდა, რომ აღარც მალავს განზრახვას – აშშ-ის მხარდაჭერით, ერთნაირსქესიანთა ქორწინება აშშ-ის სტრატეგიულ მოკავშირე საქართველოშიც მალე დაკანონდებაო.

მართალია, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უარყოფითად არის განწყობილი ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებისა და, საერთოდ, სექსუალური უმცირესობების მიმართ, და პრემიერ-მინისტრმა ირაკლი დარიბაშვილმაც განაცხადა, ყველაფერს გავაკეთებ, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ოჯახი, ქორწინება მამაკაცისა და ქალის ერთობლიობააო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც სავსეა პროამერიკელი რესპუბლიკელებით და უსიტყვოდ ასრულებს აშშ-ის მითითებებს, შეიძლება ვერ გაუძლოს ამერიკელთა წნეხს და გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ კანონის შემოღებაზე დაიწყოს საუბარი.

ამიტომ ამ საკითხზე აუცილებელია სრულიად საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაცია. მხოლოდ ერთობით, მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება, აღვუდგეთ წინ ამ საშინელ ჭირს, რომლის გავრცელებითაც აშშ გვემუქრება და რომელიც გააქრობს ქართველობას, როგორც ერს.

მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ

ცნობისთვის:

* ამჟამად ერთნაირსქესიანთა ქორწინება ნებადართულია მსოფლიოს 20 ქვეყანაში (პირველი ასეთი ქორწინების რეგისტრაცია მოხდა ჰოლანდიაში – 2001 წ.), დიდი ბრიტანეთის დიდ ნაწილსა და მექსიკის რამდენიმე შტატში.

* ერთი და იმავე სქესის პირებს ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ უფლება აქვთ, იშვილონ ბავშვი და იყვნენ მშობლები.

* სახელმწიფოს მიერ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების აღიარება და რეგისტრაცია ცვლის პრინციპებს სამოქალაქო კანონმდებლობისა, რომელშიც სიტყვები – "ქმარი" და "ცოლი", "მამა" და "დედა" იცვლება ზოგადი ტერმინებით: "მეუღლე 1", "მეუღლე 2", "მშობელი 1", "მშობელი 2". ამასთანავე, უქმდება ადამიანის იდენტობის პრინციპი სქესობრივი განსხვავებულობისა და ნათესაური კავშირის შესახებ და ყალიბდება კავშირის ახალი ფორმა – სოციალური, რომელიც, ადამიანურ რეალურ ბუნებასა და სქესობრივ კუთვნილებაზე კი არა, ცხოვრების სტილსა და სექსუალურ ორიენტაციაზეა დამოკიდებული.

"ივანიშვილს არც ის დაუმალავს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა სთხოვეს, გიორგი ქადაგიძე არ დაეჭირათ"

"შეცდომა დავუშვით, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ დავიწყეთ"...

"ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დღემდე "ნაციონალური მოძრაობის" მძევალია და მას სხვადასხვა კომპრომატით აშანტაჟებენ"...

ბოლო რამდენიმე თვეა მმართველი გუნდი ლარის კურსის გაუფასურების მთავარ მიზეზად ეროვნული ბანკის უმოქმედობას ასახელებს და თითს გიორგი ქადაგიძისკენ იშვერს. თუ ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა მართლაც მისი **"დამსახურებაა"**, რატომ დაუშვა ხელისუფლებამ სახელმწიფოს წინააღმდეგ საბოტაჟი და რატომ არ იზრუნა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტზე, ჟურნალისტის კითხვებს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **თამაზ მეჯიაური** პასუხობს:

– ეროვნულ ბანკთან უამრავი კითხვა დაგროვდა. პირველ რიგში, ეჭვს იწვევს ეროვნული ბანკის საბჭო, რომელიც თავის დროზე პირადად მიხეილ სააკაშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა დააკომპლექტეს. საბჭოს სამი წევრი, მათ შორის გიორგი ქადაგიძე, ყოფილი პროკურორია, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში ბანკების გაკოტრებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ.

– ეს ბრალდებები ქადაგიძის წინააღმდეგ მტკიცებულებას არ წარმოადგენს. კონკრეტული ქმედებები დაასახელეთ, რომელთა საშუალებითაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ლარის კურსის გაუფასურებას ხელი შეუწყო.

– თუ საპარლამენტო არჩევნებამდე გიორგი ქადაგიძე ლარის კურსის ნებისმიერ უმნიშვნელო ცვლილებაზეც კი მჟისიერ რეაგირებას ახდენდა და ვალუტის კურსის სტაბილურობისთვის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას მაქსიმალურად იყენებდა, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ლარის კურსის გასამყარებლად, პრაქტიკულად, არაფერს აკეთებს. გასული წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, სანამ ლარის კურსის ვარდნამ 10%-ს არ გადააჭარბა, ეროვნული ბანკი აბსოლუტურად უმოქმედო იყო. ქადაგიძემ არსებული რეზერვი კრიზისის დაწყებიდან მხოლოდ ათი თვის თავზე გამოიყენა, თუმცა ისიც წყალს გაატანა – 4 დღეში 80 მილიონი დოლარი გაყიდა, თუმცა მალევე უკან 140 მილიონი ლარი შეაბრუნა.

– ეროვნული ბანკი გპასუხობთ, რომ მას იურიდიულად ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე ზრუნვა სულაც არ ევალება და ეს თქვენი, მმართველი გუნდის პრეროგატივაა.

– კი ბატონო, მაგრამ 2012 წლამდეც ხომ ანალოგიური კანონმდებლობა მოქმედებდა და საინტერესოა, ქადაგიძე ეროვნული ვალუტის გამყარებაზე მაშინ რატომ ზრუნავდა?

გიორგი ქადაგიძის გასული კვირის განცხადებების გაანალიზებაც საკმარისია, რომ მივხვდეთ – საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინტერესებში ლარის კურსის სტაბილურობა არ შედის. პირიქით, მან მოსახლეობას, ფაქტობრივად, მოუწოდა, შემოდგომისთვის ლარი უფრო გაუფასურდება და დოლარი სასწრაფოდ შეიძინეთო, არადა, ელემენტარული ინტერვენციით შეეძლო საზოგადოებაში პანიკა არ გამოეწვია.

ლარის გაუფასურების პროცესს ვეტოს დადებით პრეზიდენტმაც ხელი შეუწყო და საზოგადოებისთვის საზიანო სხვადასხვა მანიპულაციისთვის ქადაგიძეს მეტი დრო მისცა.

– ხელისუფლებამ რა გააკეთა იმისთვის, რომ ეროვნულ ბანკთან კომუნიკაცია შემდგარიყო და ლარის სტაბილურობაზე ერთობლივად გეზრუნათ?

– არაფორმალურ ვითარებაში გიორგი ქადაგიძეს ნოდარ ხადურსა და ნოდარ ჯავახიშვილთან ერთად არაერთხელ შევხვდით. ბოლო შეხვედრაზე შევთანხმდით კიდეც, რომ რეფინანსირების სესხები შეთანხმებულად გაიცემოდა, თუმცა გიორგი ქადაგიძემ ეს პირობა მეორე დღესვე დაარღვია.

სიმართლე გითხრათ, ჩვენთან საუბრისას ის გულწრფელიც კი მომეჩვენა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დღემდე **"ნაციონალური მოძრაობის"** მძევალია და მას სხვადასხვა კომპრომატით აშანტაჟებენ. შესაძლოა, ადეკვატური ქმედების შესაძლებლობას სწორედ მისი თანაგუნდელები არ აძლევენ. ამაზე მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეგვიძლია საუბარი, რადგან არც ერთ ნდობით აღჭურვილ სახელმწიფო ორგანოს ეროვნული ბანკის ქმედებებზე ინფორმაციული წვდომა არა აქვს, რადგან

ზედამხედველობის სამსახური უშუალოდ გიორგი ქადაგიძეს ექვემდებარება.

– ანუ, ლარის გაუფასურება შეუქცევადი პროცესია?

– გიორგი ქადაგიძის ქმედებების პროგნოზირება რთულია, მაგრამ უმოქმედოდ არც ხელისუფლებაა – ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ლარის კურსის გაუფასურება არ გაგრძელდეს.

– ფაქტობრივად, ეროვნულ ბანკს არა მხოლოდ საბოტაჟში, "ნაციონალურ მოძრაობასთან" ერთად სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში ადანაშაულებთ. ასეთ შემთხვევაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურები რატომ არ დაიწყეთ?

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტი ხანგრძლივ პროცედურებთანაა დაკავშირებული, თანაც ქადაგიძის უმოქმედობა განსაკუთრებით გამოიკვეთა გასულ წელს, როდესაც კრიზისი მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი ჩვენს რეგიონს შეეხო. აუდიტის სამსახურშიც ანალოგიური მდგომარეობა იყო – მართალია, ამ უწყებასაც **"ნაციონალური მოძრაობის"** წევრი ხელმძღვანელობდა, თუმცა, როგორც კი აუდიტის სამსახური პოლიტიკური ზეწოლისგან გავათავისუფლეთ, ის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ამუშავდა. ეროვნული ბანკის შემთხვევაში ასე არ მოხდა, თანაც ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს არც ის დაუმალავს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა სთხოვეს, გიორგი ქადაგიძე არ დაეჭირათ. ჩემი აზრით, შეცდომა დავუშვით, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ დავიწყეთ, თუმცა ამ შემთხვევაში არსებობდა ალბათობა, რომ უარესი შედეგის წინაშე აღმოვჩენილიყავით.

– ფიქრობთ, ეროვნული ბანკის ახალ პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილი მმართველი გუნდისთვის არასასურველ კანდიდატურას წამოაყენებდა?

– იმპიჩმენტის შემთხვევაში პრეზიდენტს სწორედ ადეიშვილის მიერ დაკომპლექტებული საბჭოსგან წარდგენილი კანდიდატი უნდა დაესახელებინა, ანუ შესაძლოა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ახალი ქადაგიძე მიგვეღო.

ამიტომ ორი ვარიანტი არსებობდა: საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც მაინც იმპიჩმენტამდე მიგვიყვანდა, ან მუდმივმოქმედი საბჭოს ჩამოყალიბება, რომელსაც ეროვნული ბანკის მოქმედებებზე ნაწილობრივი ინფორმაცია მაინც ექნება. პრეზიდენტმა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელად ვინც უნდა დანიშნოს, ზედამხედველობის სამსახური გახდება საპირწონე საგენტო, რომელიც ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას არავის მისცემს.

რუსუდან ფელია

„მიწის ენაში“ შენახული წარსულის ხსოვნა

(რეცენზია პ. ცხადაიას წიგნებზე: „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), 2010; VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), 2012“))

2010-2012 წლებში ქართველური ტოპონიმიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა და სპეციალისტების ბიბლიოთეკა **„სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანის“** სერიით გამოცემული ორი წიგნით – მარტვილის რაიონის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალებით გამდიდრდა. ავტორს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ პაატა ცხადაიას ამ სერიით ასევე გამოცემული აქვს წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობისა და ჩხოროწყუს რაიონების სალექსიკონო-ტოპონიმური მასალები.

წინამდებარე სარეცენზიო წიგნები – ორ ნაწილად გამოცემული მარტვილის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონის საერთო მოცულობა გვერდების ბეჭდური რაოდენობის მიხედვით ფრიად შთამბეჭდავია – 1250 გვერდი!

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართველი მკითხველი საქართველოს რეგიონებისა თუ ცალკეული რაიონების ტოპონიმთა ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონებით განებივრებული არ არის, ბ-ნ პაატა ცხადაიას ავტორობით დღემდე გამოცემული სამეგრელო-სამურზაყანოსა და რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონები ჩვენი ბიბლიოთეკის ნამდვილად მნიშვნელოვან და ძვირფას შენაძენად უნდა ჩაითვალოს.

საკმაოდ სოლიდური მოცულობის V წიგნის წინასიტყვაობაში მკვლევარი იმოწმებს საენციკლოპედიო სტატიის მონაცემებს მარტვილის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული ძეგლების შესახებ, რომლის მიხედვით აღნიშნულ რაიონს ტერიტორიით პირველი ადგილი უჭირავს სამეგრელოს რაიონებს შორის და რომლის ფართობიც 880,6 კმ2-ს შეადგენს. მარტვილის რაიონის სამხრეთი ნაწილი მოიცავს ოდიშის დაბლობს, რომლის ჰავაც სუბტროპიკულია. ახასიათებს შედარებით თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული.

მარტვილის რაიონის ტოპონიმიის აღწერა და გამოცემა პირველად განახორციელეს პროფ. ალექსანდრე ღლონტმა (**„ტოპონიმიკური ძიებანი“,** I, თბ., 1971 წ.) და მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, ისტორიკოსმა გივი ელიავამ. ამ უკანასკნელმა გასული საუკუნის 60-იან წლებში მაშინდელი გეგეჭკორის რაიონის 20 სასოფლო, 1 სადაბო საბჭოსა და რაიონის ტყისა და საძოვრების ზონაში ჩაწერილი რამდენიმე ათასი ტოპონიმი სასოფლო საბჭოების მიხედვით შედგენილ რუკებზე აღნიშნა, ხოლო ტოპონიმთა ხალხური განმარტებების ნუსხა, ცალკეულ შემთხვევაში ავტორისეული მეცნიერული დაკვირვებებითა და დასკვნებით, ტოპონიმთა ანბანურ საძიებელთან ერთად, მოგვიანებით, 1977 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა. წიგნის სახელწოდებაა **„აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა“** (რედაქტორი აკად. სერგი ჯიქია).

პაატა ცხადაია გეგეჭკორის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა აღნუსხვა-აღწერას 1971 წლიდან აწარმოებდა. რაიონის მთა-ბარში, თითოეულ სოფელსა თუ სოფლებს შიგნით არსებულ ცალკეულ უბნებში გულდაგულ, ნაბიჯ-ნაბიჯ შეკრებილ-მოძიებული დიდძალი მასალის გადამოწმების, დაზუსტებისა და შევსების მიზნით (სადაც საჭირო იყო), როგორც აღნიშნავს, 80-იან წლებში ხელმეორედ სწვევია რაიონს.

სააღრიცხვო ბარათებზე განთავსებული ტოპონიმური მასალა დიდხანს ინახებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკური კვლევის ცენტრში, ხოლო მას შემდეგ, რაც პ. ცხადაია რაიონების მიხედვით ტოპონიმური მასალების გამოცემას შეუდგა, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებების სერიით გამოცემული V-VI წიგნებში მარტვილის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებებს მოუყარა თავი. იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ მარტვილის რაიონი სამეგრელოს რაიონებს შორის ტერიტორიით ყველაზე დიდია, საჭირო გახდა მოპოვებული მასალის, 8000-მდე ერთეულის გადანაწილება ორ წიგნად გადანაწილება. სალექსიკონო მასალის პირველ ნაწილში შევიდა რაიონის სამხრეთი ნაწილის ტოპონიმია, რაც მოიცავს 11 საკრებულოს (მარტვილის, აბედათის, ბანძის, ვედიდკარის, ლეხაინდრავოს, ნაგვაზავოს, ნახუნავოს, ნაჯახავოს, ონოღიის, სერგიეთისა და ხუნწის) და ამ საკრებულოებში გაერთიანებულ 34 დასახლებულ პუნქტს. მ/შ 33 სოფელია და 1 ქალაქი.

წინასიტყვაობაში პ. ცხადაია მსჯელობს ლ ი 0 ფონეტიკური პროცესის ასახვაზე მარტვილის რაიონის ტოპონიმიაში. იგი იმოწმებს ი. ყიფშიძის მოსაზრებას ფონეტიკურ თუ ლექსიკურ მონაცემთა გათვალისწინებით სამეგრელოს მოსახლეობის მეტყველებაში აღმოსავლური (სენაკურ-მარტვილური) და დასავლური (სამურზაყანულ-ზუგდიდური) დიალექტების გამოყოფისა და იმის შესახებ, რომ ი. ყიფშიძეს აღმოსავლური დიალექტის ერთ-ერთ თავისებურებად ლ ბგერის დასუსტება და საბოლოოდ დაკარგვა (ლ ი 0) მიაჩნდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ბანძური მეტყველება, სადაც ლ „почти совсем исчезает“ (ი. ყიფშიძე).

პ. ცხადაიამ ტოპონიმური მასალების დამოწმებით დაადასტურა, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებებში მოსალოდნელი ლ თანხმოვანი ან საერთოდ არ ჩანს, ან შეიძლება გამოჩნდეს ბანძურ-მარტვილური თქმის ზონის პერიფერიულ სოფლებში; ამასთანავე, ლ თანხმოვანი გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილია ჲ-ს სახით. მაგალითად, ხმოვნის წინ: ლე ჲ ე (ლეკი „შლამი“ ჲეკი); ლა ?ა (ლაგვანი „ქვევრი“ ჲაგვანი; ლაკარდა ჲაკარდა); ლუ ჲუ (ლუკა ჲუკა); ლე ჲე (პავლე//პაულე პაუჲე//პავიე) და ა. შ.

ჲ -ს პოზიციის შესახებ პ. ცხადაიას თვალსაზრისი ჩამოყალიბებულია სამი ძირითადი დასკვნის სახით:

1. ?-ს წარმოთქმა ორი ი ხმოვნის შიგნით პრაქტიკულად შეუძლებელია (მაგ.: წისქვი (წისქვილი); გოჩეხიი (გოჩეხილი), მარტვიი (მარტვილი)).

2. ?ძნელი წარმოსათქმელია და ამიტომ არც ისმის შემდეგ კომპლექსებში: -ალ-ი *ა?ი აი, -ელ-ი ე?ი ეი, -ილ-ი *ი?ი იი, -ოლ-ი *ო?ი ოი, -ულ-ი უ?ი უი.

ყველა ზემოთ დასახელებული შემთხვევა გამოწვეულია იმით, რომ ი ხმოვნის წინ მოქცეული ? მომდევნო ხმოვანთან შერწყმის გამო წარმოთქმაში არ ჩანს.

3. ? შენარჩუნებულია ხმოვანთა-შორის პოზიციაში, ფაკულტატიურია და, ჩვეულებრივ, უმეტესად მამა-პაპათა მეტყველებაში ისმის კიდეც: ალა ა?ა: ჭა?აგანიძე (ჭალაგანიძე)... ალე ა?ე (შესაძლებელია ა?ე აე): ოყარყა?ეში//ოყარყალეში)... ალო ა?ო: ზაკა?ონი (ზაკალონი)... ალუ ა?უ: ნახარჩა? უ (ნახარჩალუ ხარჩალი „ჩხრიალი“) და ა. შ. (ცხადაია, V, 2010: 6-11; მსჯელობისათვის იხ. მისივე, VI, 2012: 5, 8-13).

პ. ცხადაიას დაკვირვებით, ლ- პრეფიქსს ტოპონიმიაში ჩვეულებრივ ?ე ენაცვლება, მაგრამ ამ შემთხვევაში იშვიათად ისმის თავკიდური? ამის მაგალითია ეჯღარკე (?)ეჯღარკე (ლეჯღარკე); ეჯანაშიე (?)ეჯანაშიე (ლეჯანაშიე).

პირსახელთა თავკიდურში მოსალოდნელია შემდეგი პროცესები: 1. ლ+ხმოვანი ?+ხმოვანი. მაგალითად, ლუკა ?უკა (?უკაშ ნაწისქვი?უ); ლევანი ?ევანი (?ევანიშ კოდე); 2. თავკიდური ლა ?ა: ლაგვანდუდი ?აგვანდუდი; ლაკარდა ?აკარდა (ცხადაია, V, 2010: 11).

მკვლევარი განიხილავს ჩვენ მიერ მოპოვებულ, ქალაქ მარტვილის ტოპონიმურ მასალებში მოცემულ დაწერილობასაც და შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ?-ს წარმომავლობა გასარკვევია, რადგან „იგი უმეტეს შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის -იშ ნიშნის ალტერნატივაა: ალე?ნოხორი (ალეშ ნოხორი), ბარდღა? ნოხორი (ბარდღაშ ნოხორი) და სხვ.“ (იქვე: 11).

წინასიტყვაობაში მკვლევარი მსჯელობს ტოპონიმთა ლექსიკურ, ფონემურ და ფონეტიკურ ვარიანტებზე, რაც დამახასიათებელია მარტვილის რაიონისა და, ზოგადად, საქართველოს ყველა რაიონის ტოპონიმიისათვის. ყურადღებას ამახვილებს ლექსიკური ვარიანტების მრავალგვარობაზეც. თუმცა ქრონოლოგიური ვარიანტის საილუსტრაციოდ შეცდომით იმოწმებს მარტვილს//დიდიჭყონს. სინამდვილეში მარტვილის ქრონოლოგიური ვარიანტია ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ჭყონდიდი (იქვე: 12).

სალექსიკონო მასალის ძირითად ნაწილში გეოგრაფიული სახელწოდებანი წარმოდგენილია ცალკეული საკრებულოებისა და საკრებულოებს შიგნით მდებარე სოფლების მიხედვით. ტოპონიმები დალაგებულია საერთო ანბანის რიგზე. პირველად დასახელებულია ობიექტის სახელწოდება, რასაც მოსდევს სახელდებული ობიექტის ლოკალიზაცია, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ანალიზი, უმეტეს შემთხვევაში – მოტივაციური კომენტარებით.

წიგნში გვხვდება ქრონოლოგიური და სხვადასხვაენოვანი ტოპონიმები, ფონეტიკური და მორფემული ვარიანტები. ტოპონიმთა ვარიანტულობის მიზეზად პ. ცხადაია განსხვავებულ მოტივაციას ასახელებს. სათაურ ტოპონიმსა და პარალელურ ფორმას შორის დასმულია პარალელურობის ნიშანი (გა//გაგოური, სიკოშ ოდუდია//ოდუდიაშ ოხვამერი).

ინტერესს იწვევს ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ტოპონიმთა ანბანურ ნუსხას წინ უძღვის ცალკეული დასახლებული პუნქტების შესახებ მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის შესავალი. ამას მოსდევს ტოპონიმური მასალის ჩაწერის თარიღი (ან თარიღები) და რესპოდენტთა სია, მათივე ასაკის ჩვენებით.

წიგნს ბოლოში ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და სათაურ ტოპონიმთა საძიებელი. ეს უკანასკნელი, მართალია, სრულად ვერ ასახავს სარეცენზიო წიგნის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელწოდებების საერთო რაოდენობას (ზოგიერთი სახელწოდება საძიებელში სულაც გამოტოვებულია), მაგრამ თვალნათლივ მიუთითებს ტოპონიმთა მორიგეობასა და მრავალგვარობა-სიხშირეზე. საძიებელი აერთიანებს ცალკეული სოფლების მიხედვით ლექსიკონში წარმოდგენილ მსგავს და განსხვავებულ სახელწოდებებს. ასე, მაგალითად, აბედათის ტოპონიმთა ნუსხაში მითითებულია, რომ ბონდიშ ტობა ეწოდება მორევს მდ. ტარჩენზე (ცხადაია, V, 2010: 141). სათაურ ტოპონიმთა საძიებლის დახმარებით დაინტერესებული პირი მარტივად არკვევს, რომ ამ სახელის მატარებელი ობიექტი წიგნის 244-ე გვერდზეც არის დასახელებული. შესაბამის გვერდზე კი აღნიშნულია, რომ **„ბონდიშ ტობა“** ასევე მორევის სახელწოდებაა მდ. აბაშაზე, ნაბონდუსთან, სოფ. ლეკეკელეში. საძიებლის მიხედვით ჩეჩონას სახელით ცნობილი ობიექტები დამოწმებულია სარეცენზიო წიგნის 35-ე, 54-ე, 91-ე, 179-ე, 193-ე, 215-ე გვერდებზე (იქვე: 535)...

წიგნში თავმოყრილი მრავალრიცხოვანი ტოპონიმური მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ მარტვილის რაიონის ტოპონიმიაში ასახვას ჰპოვებს მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა სახელები, მეთევზეობის, მემინდვრეობის, მეფუტკრეობის, მიწათმოქმედების, მევენახეობა-მეღვინეობის, მჭედლობის, ხელოსნობის, აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიული ლექსიკა და ა. შ. წარმოდგენილია ისტორიული საკულტო-სარიტუალო და საერო ნაგებობების სახელწოდებანი.

სხვადასხვაენოვანი (ჰიბრიდული) ტოპონიმებია: ნაციხვარი//ნაჯიხუ, ცხენისწყლის ჭალა//ცხენწყარპიჯიშ ჭა(?)ე//ჭა(?)ე, ხინჯიშდუდი//ხინჯისყური, წისქვილის გზა//წისქვილიშ შარა. საილუსტრაციო მასალას ვიმოწმებთ ხუნწის თემის საკრებულოს ტოპონიმთა ნუსხიდან. ორენოვნება მარტვილის რაიონში სწორედ ამ სოფლისთვის არის დამახასიათებელი, რადგან ხუნწი იმერეთის საზღვარზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. პ. ცხადაია შენიშნავს: „მიკროტოპონიმია ადასტურებს, რომ, მართალია, ზედახუნწელთა **„საშინაო“** (ე. ი. არაოფიციალურ სიტუაციაში) მეტყველება, ფაქტობრივად ორენოვანია, ოღონდ მეგრულის მნიშვნელოვანი უპირატესობით (ზედა და ქვედა ხუნწის მიკროტოპონიმიის 95%-ზე მეტი მაინც მეგრულია, ან ორენოვანია“... (იქვე: 475).

საყურადღებოა, რომ ხუნწური მეტყველების თავისებურებებზე, პ. ცხადაიამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე, განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს – იოსებ ყიფშიძეს, რასაც ბ-ნი პაატა თავის წიგნში იმოწმებს კიდეც: **„ამჟამად ხუნწში უპირატესობს ქართული ენა. კერძოდ, ზედა ხუნწში ყოველთვის ქართულ ენაზე მეტყველებენ, ხოლო ქვედა ხუნწში, როგორც მეზობელი სოფლის მკვიდრნი ხუმრობენ, შუადღემდე საუბრობენ მეგრულად, ხოლო ნაშუადღევს ქართულად“** (ყიფშიძე, 1994: 28-29).

ბანძურ-მარტვილური თქმისთვის დამახასიათებელ და ძირითად თავისებურებად მიჩნეულ იოტიზაციის პროცესზე მსჯელობა მოცემულია პ. ცხადაიას VI წიგნის წინასიტყვაობაშიც. კითხვაზე – მარტვილის რაიონის რომელ სოფლებში, რა ტერიტორიაზე ხდება ეს იოტიზაცია? – ავტორი პასუხობს, რომ ეს პროცესი დამახასიათებელია ძირითადად მდ. ტეხურის მარცხენა მხარეს – ბანძის თემიდან სალხინოს თემამდე, ხოლო ტეხურის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლებში – გურძემიდან ჩრდილოეთით, კურზუს თემის სოფლების ჩათვლით, რესპოდენტები ლექსიკური და ტოპონიმური მაგალითების მოშველიებით და ერთგვარი ირონიითაც, ასაბუთებენ, რომ ,,?-ს იტყვიან მხოლოდ გაღმა სოფლებში, გამოღმა კი – არა“ (პ. ცხადაია, VI, 2012: 9).

VI წიგნი მთლიანად ეთმობა მარტვილის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილის, მთიანი ზონის ტოპონიმიას. მასში თავმოყრილია 10 საკრებულოში, კერძოდ, გაჭედილის, გურძემის, დიდი ჭყონის, დოშაყის, თამაკონის, ინჩხურის, კიწიის, კურზუს, სალხინოსა და ტალერის საკრებულოებში გაერთიანებულ სოფლებში, აგრეთვე მარტვილის რაიონის მთის ზონასა და გორდის სატყეოში, გასული საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში ჩაწერილი და 10-15 წლის შემდეგ გადამოწმებულ-შევსებული ტოპონიმური მასალა. გამოყენებულია თსუ-ის თანამშრომლების – შუქია აფრიდონიძისა და მაგული მარგველაშვილის ტოპონიმური ჩანაწერებიც. მკვლევარი ლოკალიზაციისთვის იყენებს სატყეო უბნების სახელებს: ლებარდეს სატყეო, კურზუს სატყეო, ტალერის სატყეო, სალხინოს სატყეო, გაჭედილის სატყეო. მათი ლოკალიზაცია კი მოცემულია წიგნის პირველი ნაწილის ბოლოში. მეექვსე წიგნის სტრუქტურა მეხუთესგან განსხვავებულია: ამ შემთხვევაში მკვლევარი წიგნის პირველ ნაწილში წარმოადგენს მარტვილის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილის საკრებულოებს, სოფლებსა და რესპოდენტებს. იქვე მოცემულია ოიკონიმთა ფონეტიკური, სიტყვაწარმოებითი, სინტაქსური და ლექსიკური, აგრეთვე ისტორიულ-ეტიმოლოგიური (გარეენობრივი) ანალიზი. თუკი მეხუთე წიგნში ტოპონიმები ცალკეული საკრებულოებისა და საკრებულოებს შიგნით მდებარე სოფლების მიხედვით იყო დაჯგუფებული, ამ შემთხვევაში ყველა სოფლის ტოპონიმური მასალა დალაგებულია საერთო ანბანის რიგზე და წიგნში წარმოდგენილია მეორე ნაწილად. ტერიტორიულად ხონის რაიონში შემავალი გორდის სატყეოს ტოპონიმური მასალის მარტვილის რ-ნის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალაში შეტანას პ. ცხადაია იმ გარემოებით ხსნის, რომ გორდის სატყეო გაჭედილის სატყეოს გვერდით მდებარეობს. საჩიქვანო//ჩიქვანიშ ტყა//ქორთუეფიშ ტყა – ტყე-საძოვრები ამ სახელწოდებით ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს და თვით მარტვილის რაიონის, კერძოდ, გაჭედილის სატყეოს საზღვრამდე ვრცელდება. სწორედ ამ საჩიქვანოსა და სალხინოს სატყეოს მიმდებარე ტერიტორიაზე მეჯოგეებისგან ჩაუწერია მკვლევარს მიკროტოპონიმთა გარკვეული ნაწილი (პ. ცხადაია, VI, 2012: 113).

1970 წლის ოქტომბერში პ. ცხადაია სოფ. კურზუში გაცნობია ერთ-ერთი რესპოდენტის, 70 წელს მიღწეული ქალბატონის – მატრო ბერულავას საოჯახო არქივს, კერძოდ, „პირობის“, „ფარდის“ ან „ფარდის პირობის“ სახელწოდებით ცნობილ, მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის 20-მდე საბუთს, რომლებშიც აღნიშნული ყოფილა, თუ ვისგან იყო ნაყიდი, ან ვის მიეყიდა მიწის ნაკვეთები სასულიერო პირების – ბერულავების მიერ. 1844-1913 წლებს შორის პერიოდში, სხვადასხვა დროს შედგენილი საბუთებიდან ამოწერილი რამდენიმე ათეული ტოპონიმი მკვლევარს წიგნში დანართის სახით აქვს წარმოდგენილი (იქვე: 718-722).

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი,
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბიზნესფორუმი „ჩხოროწყუ 2015“

გასულ ხუთშაბათს, ცნობილი გეოლოგის და მეცენატის, ბატონ ნუგზარ გოგუას მიწვევით ჩხოროწყუს ვესტუმრე ბიზნესფორუმზე დასასწრებად.

უთუოდ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი 2014 წელს ანაკლიაში, სადაც პირველი საერთაშორისო ბიზნესფორუმი ჩატარდა თბილისის ფარგლებს გარეთ. მაშინ ბევრი სკეპტიკურად უყურებდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორ ლევან შონიას წამოწყებას, მაგრამ ამ ღონისძიებამ ყველა ეჭვი და უნდობლობა დაამსხვრია, რადგან იმ ორ დღეში, უამრავი საქმიანი ურთიერთობა დამყარდა ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებს შორის, ბევრმა მათგანმა პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო რეგიონში.

სწორედ ამას მოჰყვა **„ინტერბიზნესფორუმი ჩხოროწყუ 2015“**, სადაც მრავალ ენაზე მოსაუბრე სტუმარ-მასპინძელს ერთი მიზანი აერთიანებდა – მოეძიათ ურთიერთხელსაყრელი საერთო საქმე, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს დააკმაყოფილებდა.

წამოსვლის წინადღეს, ჩვეულებისამებრ, ინტერნეტში ჩავიხედე და საჯარო ინფორმაცია მოვიძიე ჩხოროწყუს შესახებ **„ქართულ ვიკიპედიაში“**:

„ჩხოროწყუ — დაბა, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს მდინარე ხობზე, რკინიგზის სადგურ სენაკიდან 39 კმ-ის მანძილზე, მის ჩრდილოეთით. დაბის სტატუსი მიენიჭა 1960 წელს. მოსახლეობა 4.3 ათასი (2007). დაბაში არის ადმინისტრაციული, კულტურის, განათლების და ჯანდაცვის დაწესებულებები, მცირე საწარმოები.“

ჩხოროწყუში უკანასკნელად, 2008 წელს, გერმანელ ფეხბურთის მწვრთნელ ბ-ნ ჰერბერტ ცანკერს ვახლდი, რომელიც იმხანად ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ **„ბაიას“** ედგა სათავეში და დიდი ენთუზიაზმით უძღვებოდა დაკისრებულ ვალდებულებას, ვიდრე მოშურნენი, კლუბის მეპატრონეს, ბ-ნ ზვიად სიჭინავას დაარწმუნებდნენ, რომ გერმანელი სპეციალისტი საჭირო არ იყო და მას დაითხოვდნენ.

სანამ ეს მოხდებოდა, ბატონმა ცანკერმა სამეგრელოს რეგიონის შემოვლა მთხოვა. ასე ვიმოგზაურეთ რვავე რაიონში და თითქმის ყველა სოფელს ვესტუმრეთ. საღამო ჟამს ჩავედით ჩხოროწყუში, მაგრამ რაიონის ცენტრში ჯერ კიდევ ხალხმრავლობა იყო. როგორც კი დაინახეს ბავშვებმა მანქანიდან გადმოსული გერმანელი სტუმარი, იმწამსვე ალყაში მოაქციეს და სხვებსაც უხმეს – 16 წლიანთა ნაკრების მწვრთნელი, ჰერბერტ ცანკერია ჩამოსულიო!

ამ ჟრიამულში უფროსებიც შემოგვიერთდნენ და საინტერესო საუბარიც გაიმართა. ბუნებრივია, საუბარი ძირითადად ფეხბურთს ეხებოდა, თუმცა, იგი ადგილობრივ მოსახლეობას და მათ პრობლემებსაც არ აცდენია. სტუმარმა თავშესაყარ ადგილებში და სოფლების მოედნებზე ბავშვების ნაკლებობას მიაქცია ყურადღება (ეს ის დროა, როცა მთელი საქართველო 2008 წლის აგვისტოს ომითაა აფორიაქებული და ათიათასობით უსახლკაროდ დარჩენილთათვის თავშესაფარს ეძებს). მახსოვს, კამათის ეშხში შესულ საზოგადოებას, ოთხმოც წელს მიტანებული, მაღალი, ხმელი კაცი გამოეყო და სტუმარს მიმართა – **„ისეთი კარგი მოსაუბრე ჩანხარ, შენი მშრალად გაშვება არ გვეპატიება, თან ჩემს სოფელში ცოცხალი გერმანელი არაა ნამყოფი და თუ მესტუმრები, თავს არ შეივრცხვენ, კარგ მასპინძლობას გაგიწევთო!“**

საქართველოში ჩამოსულმა ჰერბერტმა, ქართული სწრაფად ისწავლა და საკმაოდ ლამაზად მეტყველებდა, რასაც ვერ ახერხებდა მე ვთარგმნიდი.

კეთილი მასპინძლის შემოთავაზება ვერ მივიღეთ, რადგან მარტვილში გველოდნენ და წამდაუწუმ გვირეკავდნენ – სად ხართო! ამიტომ, მადლობა მოვახსენეთ მიპატიჟებისთვის და უარის მიზეზიც რომ მოვახსენეთ, დაგვთანხმდნენ, მაგრამ პირობა ჩამოგვართვეს – **„მეორედ რომ ჩამოხვალთ აუცილებლად უნდა გვესტუმროთ, ოღონდ ღამისთევითო!“**

რამდენიმე წუთი მაინც გაგვაჩერა ჩვენმა მომავალმა მასპინძელმა, რომელმაც წინასწარ გაგვაცნო ის მენიუ, რომელიც აუცილებლად მოხიბლავდა გერმანელ ჰერბერტ ცანკერს – **„შუაცეცხლის კვამლზე ბუნებრივად შებოლილი შაშხი, კუპატი და სულუგუნი, კეცზე გამომცხვარი მჭადი და ხაჭაპური, ეზოში ნარბენი ვარია, ხობისწყალში დაჭერილი კალმახი, ელარჯი, რა თქმა უნდა სახელგანთქმული ოჯალეში და თაფლის არაყსაც გაგასინჯებთო!..“**

ჩამოთვლილი მენიუს თარგმნა არ დამჭირვებია, ბატონმა ცანკერმა უჩემოდ მისცა შემოდგომაზე სტუმრობის დასტური. მასპინძელმა კი, უფრო ჩემს საყურადღებოდ განაგრძო – **„დავით ბატონო, თქვენ ჩვენი კუთხის კაცი ბრძანდებით და კარგად გეცოდინებათ, ჩვენთან სოფლები „საოშო“-ებად (ასი კომლის გაერთიანება) რომ იყოფა. არც ისე დიდი ხნის წინ – „საოშოში“ ბევრად მეტი ბავშვი იყრიდა თავს, ვიდრე დღევანდელ სოფელშია მთლიანად. მაშინ, თუ სადმე ბურთის გასაგორებელი ადგილი მოიძებნებოდა, ბალახს რა გააჩერებდა ზედ, დილიდან საღამომდე ბურთს უბათქუნებდნენ ბავშვები. კარგა ხანია ის დრო წარსულს ჩაბარდა. ომებმა და გაჭირვებამ მოსახლეობა საშოვარზე გადახვეწა, ადრე თუ მთის დაცლას უჩიოდა ქვეყანა, დღეს ბარიც იგივე დღეშია. უკვე შეღამდა და სანამ მარტვილში ჩახვიდოდეთ, სოფლების გავლა მოგიწევთ. დააკვირდით რამდენ სახლში დაინახავთ შუქს. ასე გაიგებთ რამდენი ოჯახია დაცარიელებული. ზამთარში მათი რიცხვი სამმაგდება და „საოშოში“ ოცი ოჯახი თუ დავრჩით, კარგი ამბავია. დიდთოვლობისას ღმერთს ვეხვეწებით – თუ წასაყვანი ვართ, გაზაფხულამდე გვაცალე, შეიძლება მიცვალებული ვერ გავაპატიოსნოთო!“**

გული დაგვიმძიმა მოხუცის ნათქვამმა. გზადაგზა ვაკვირდებოდით შუქჩამქრალ სახლებს. სანამ მარტვილში ჩავიდოდით, მხოლოდ ერთგან გაგვახარა შუქაბრდღვიალებული სახლების სიმრავლემ!

ჩემი მეგობარი ჰერბერტისთვის არაფერი მითქვამს, თუმცა ისედაც ხვდებოდა ჩემი მოწყენილობის მიზეზს. გულგასახეთქი სინამდვილის ხილვისას, მთელი გზა ყურში ჩამესმოდა, წლების მანძილზე, ჩემი ხალხის მიერ არჩეული მთავრობების და პარლამენტარების ყალბი მოწოდებები – **„ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ აფხაზეთს, ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში!“**

მახსოვს, მარტვილში რომ ჩავედით, სუფრა გაშლილი დაგვახვედრეს. მთელი დღის ნამგზავრები მადიანად შევექეცით საჭმელს, მაგრამ საერთო მხიარულებას მაინც ვერ მოვერგე, რადგან მარტო ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში – აფხაზეთში დაბრუნებას ვინ ჩივის, ქართველი იქ ვერ ბრუნდება, სადაც არავინ უშლის და არაფერი ემუქრება!

ეს ისტორია გამახსენდა, როცა ჩხოროწყუში ჩავედით და მასპინძელმა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა დავით გოგუამ, საქვეყნოდ ცნობილ სოფელ მუხურში, იქ, სადაც მდინარე ხობისწყალი გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გერმანელი ტყვეების მიერ აგებულ ხიდთან კუნძულს ქმნის, გასაოცრად ლამაზად მოწყობილ საკონფერენციო დია ცისქვეშეთში მიგვიწვია.

არ დავმალავ, მსგავსი შეხვედრები გასულ წლებში უამრავი გვინახავს და უამრავი შარჟი და ანეკდოტი მოჰყოლია გაზისა და წყალგაყვანილობების გახსნას, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით წყლის და გაზის ცისტერნა რომ ჰქონდა მიერთებული და წყლის და გაზის მიწოდება ზუსტად იმდენ ხანს გრძელდებოდა, რამდენ ხანსაც სახელდახელო კონფერენცია დია ცის ქვეშ!

ისიც გვახსოვს, მცხეთაში, სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ თაკარა სიცხეში, ქადაგად დავარდნილი მიშა სააკაშვილის წინაშე, შუაგზაზე გამოტანილ კლუბის სკამებზე ჩამომსხდარ მთავრობის წევრებს, ხარაჩოებზე შემდგარი, ვითომ **„მალიარი“** და **„ჩიკატურშჩიკი“** მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები უქმნიდნენ **„საქმიან“** ფონს!

მუხურში, ჩვენს გარდა, დედაქალაქიდან ჩამოსული სამთავრობო სტუმრები და სამეგრელო-ზემო სვანეთის ხელმძღვანელები, გერმანული პუნქტუალობით მოვიდნენ და ყოველგვარი გადაჭარბებული პომპეზურობის გარეშე დაიწყო ის, რისთვისაც ჩამოვედით.

ჩემი ეჭვები და შიშიც მალე გაქრა – ნაძალადეობა და სიყალბე არაფერს დატყობია, დაისისკენ გადახრილმა მზის სხივებმა კიდევ უფრო დაამშვენა ყველა გამომსვლელის საქმიანი საუბარი.

ფორუმი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა დავით გოგუამ გახსნა. სტუმარ-მასპინძლებთან თბილი მისალმების შემდეგ (სამთავრობო ჩონოვნიკებისთვის დამახასიათებელი, არაფრისმთქმელი სიტყვამრავლობის გარეშე), მარტივად და გასაგებად წარმოადგინა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გაკეთებული და გასაკეთებელი საქმეების საკმაოდ ვრცელი ნუსხა. ის, რაც ქართულ ვიკიპედიაში არ არის ნახსენები, თუ რისთვის უნდა ჩამოვიდეს უცხოელი თუ ქართველი სტუმარი და რა პერსპექტივები გააჩნია ამ ულამაზეს კუთხეს, საერთო ქართული სახელმწიფოს ადმასვლა-ადმშენებლობაში, დოკუმენტური კინოკადრებით დასურათხატდა, რასაც ფორუმის მონაწილეთა დადებითი ემოცია მოჰყვა!

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორ ბატონ ლევან შონიას გამოსვლაში, როგორც წესი – განხორციელებული პროექტების ჩამონათვალს სამომავლო გეგმები ჭარბობდა, რაც არა მხოლოდ სურვილად, არამედ ვალდებულებად იქნა გაცხადებული ფორუმზე მოსული სტუმრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე და დიდი მოწონება დაიმსახურა!

აკი იქვე ითქვა კიდეც, ფორუმის დამსწრეთაგან – **„ამ ხალხს თუ ვერაფრით დავეხმარებით, ხელს მაინც ნუ შევუშლითო!“**

ვინაც ოდნავ მაინც ჩახედულია საქართველოში შექმნილ ანეკდოტურ სიტუაციაში, უსიტყვოდ დამიდასტურებს, რომ – **„კეთილ საქმეში ხელის არ შეშლა“** დიდი დახმარებაა დღევანდელ სინამდვილეში!

ვრცელი და საქმიანი სიტყვით წარსდგა ფორუმზე სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატონი ოთარ დანელია. მაღალი გემოვნებით შესრულებული, ორენოვანი, სოფლის მეურნეობის მიღწევების ცნობარი-კატალოგების გარდა, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მინისტრის მიერ სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მოყვანა-წარმოების დაფინანსების სახელმწიფო ხედვამ და მოდელმა, რაც საინტერესოსთან ერთად გასაკვირიც აღმოჩნდა ფორუმის მონაწილეთათვის ორი მიზეზის გამო:

1. მინისტრის ნათქვამი იდეალური და მისასალმებელია!

2. მაგრამ, წარმოუდგენელია მისი რეალიზება ქართული ბანკების მოთხოვნებიდან გამომდინარე!

საბოლოოდ, ფორუმის ერთ-ერთი მონაწილის თქმით – **„ყველაფერი მისაღებია, რაც მინისტრმა ისაუბრა, თუ კი იგი ჩვენს ქვეყანაში მოხდებაო!“**

მე თუ მკითხავთ, **„გიორგი მეფის და მისი ძუძუმტე პიპასი“** არ იყოს – **ერთ მშვენიერ დღეს, ბატონი სოფლის მეურნეობის მინისტრი, „ინით წვერ-ულვაშ შეღებილი“, ქართულ ბანკს უნდა მიადგეს და ჩხოროწყუელი გლეხის სახელით მოსთხოვოს კრედიტი სასოფლო-სამეურნეო პროექტის დასაფინანსებლად!**

– ვნახოთ, რას გამოიტანს იქიდან და ამის შემდეგ ვისაუბროთ შედეგზე!

ისე კი, როგორც ზემოთ ვახსენე – მინისტრის ნათქვამი იდეალური და მისაღებია, თუ იგი რეალობაშიც ასევე აისახება!

ეკონომიკის და ტურიზმის სამინისტროების წარმომადგენლები, ანი ბიძინაშვილი და ანი არაბული სილამაზის კონკურსზე უფრო დიდ წარმატებას მიაღწევდნენ ვიდრე ბიზნეს ფორუმზე მათი გამოსვლა იყო, მაგრამ მათმა გამოჩენამ საგანგებო ხიბლი შესძინა ხობისწყლის ხეობაში, ულამაზეს კუნძულზე გამართულ, საქმიანი ხალხის თავყრილობას!

სამთავრობო ლამაზმანების გამოსვლამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ტურიზმი და მომსახურების სფერო მარტივი საქმე არ არის და იგი რთული მოსაგვარებელია ღარიბი ქვეყნისთვის, რაოდენ თვალწარმტაცი ბუნება, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, კარსტული მღვიმეები, ტბები და წყალსწრაფი მდინარეები გქონდეს წყალჯომარდობით გატაცებული სტუმრისთვის შესათავაზებლად!

მაღალი დონის ტურიზმს, მაღალი დონის მომსახურება და საკუთარ სოფელში მოწეული, მაღალი ხარისხის პროდუქტი სჭირდება, ისეთი, – **როგორი მენიუც, რამდენიმე წლის წინ ჩხოროწყუს მკვიდრმა, ოთხმოც წელს მიტანებულმა უცნობმა შესთავაზა გერმანელ ფეხბურთის მწვრთნელ ჰერბერტ ცანკერს!**

როგორც იტყვიან, ზემოთნათქვამის განხორციელების იმედი ჩაგვისახა, გასულ ხუთშაბათს, ხობისწყლის ხეობის ულამაზეს სოფელ მუხურში ჩატარებულმა ბიზნესფორუმმა „ჩხოროწყუ 2015“-მა!

ანაზდად, დიდი აკაკის უკვდავი სიტყვები მახსენდება – **„საქართველო სულ სხვა ბაღია და მას სხვანაირი მებაღე სჭირდებაო!“**

– იქნებ, დადგა ჟამი, – საქართველოს მომვლელი, ქართველი მებაღის გამოჩენისა?

– იქნება, კოლხეთში გამოჩნდეს იგი?

– ღმერთმა ქნას!

ჩვენს ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲣᲪᲓᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲢᲐᲮᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲧᲝᲤᲐ, ᲛᲘᲡ ᲑᲐᲡᲐᲛᲐᲑᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲡᲬᲘᲠᲐᲕᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲣᲓᲐᲛᲬᲐᲛᲡ. ᲛᲐᲠᲗᲝ ᲪᲝᲢᲜᲔ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲮᲢᲐᲡᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲘᲙᲛᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐᲓ. ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ ᲙᲝᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲫᲣᲯᲘᲡ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲖᲔ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ!

აქვე, საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამთავრობო რწმუნებულის სამსახურის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელთა დიდი მონდომება, ბიზნესფორუმის წარმატებით ჩატარებაში.

უთუოდ კარგ ტრადიციას დაედო სათავე ჩხოროწყუში. ჩვენც, მადლობა ვუთხრათ და წარმატებები ვუსურვოთ მასპინძლებს.

მომავალ შეხვედრამდე!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲝᲑᲐᲚᲘᲐ

P.S. ***მომავალი შეხვედრა კი, ჩხოროწყუს გამგებლის, ბატონი დავით გოგუას დაპირებით, უფრო წარმომადგენლობითი იქნება და აღდგომის დღეებში უნდა გაიმართოს.***

ჩვენც საგანგებოდ მოვემზადებით!

ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲢᲧᲣᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲘᲡᲐᲡ – ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲛᲐᲠᲙᲔᲢᲨᲘ

მოსახლეობაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ ფქვილის გაძვირებას შესაძლოა, პურის მნიშვნელოვანი გაძვირება მოჰყვეს. ფქვილის ფასის მატებასთან ერთად პურის საცხობები სულ უფრო ხშირად საუბრობენ პურზე ფასის მომატებაზე. იმ შემთხვევაში, თუ არ გაიზრდება პურის ფასი, მოსახლეობა ვარაუდობს, რომ შესაძლოა დაიკლოს მისმა წონამ.

ვიდრე პურის საცხობები რაიმე კონკრეტულ ქმედებას განახორციელებენ, ინტერნეტსაიტმა AMBEBI.GE-მ ექსპერიმენტი ჩაატარა. ჩვენ სხვადასხვა მწარმოებლის ხუთი დასახელების შეფუთული პური შევიძინეთ და სუპერმარკეტის ელექტროსასწორზე ავწონეთ. შედეგები მომხმარებლისთვის სახარბიელო ნამდვილად არ აღმოჩნდა. რამდენიმე მწარმოებლის ხუთი დასახელების შეფუთული პურიდან მხოლოდ ერთის წონა შეესაბამებოდა შეფუთვაზე დაფიქსირებულ წონას.

ჩვენი ექსპერიმენტის პირველი **"მსხვერპლი" "მარგის"** ლავაში აღმოჩნდა. მართალია პურის ეტიკეტზე მითითებული იყო, რომ პურის წონა 450 გრამია, აწონვის შემდეგ გაირკვა, რომ სინამდვილეში ლავაში მხოლოდ 410 გრამს იწონის.

ექსპერიმენტის შემდეგი სამიზნე შპს **"პურის"** მოხარშული ჭვავის პურია. მოქალაქეები ხშირად განსაკუთრებული გემოსა და სასარგებლო თვისებების გამო ყიდულობენ ჭვავის პურს და არ იციან, რომ თუ ეტიკეტზე აწერია, რომ მისი წონა 300 გრამია (3 გრამის მეტობით ან ნაკლებობით), სინამდვილეში ის 275 გრამს იწონის.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ეტიკეტზე მითითებული წონა პურის რეალურ წონას დაემთხვა და 5 გრამით გადააჭარბა კიდეც, შპს **"პურის"** თეთრი **"ბატონი"** იყო. 510 გრამი ეტიკეტზე იყო დაფიქსირებული, რეალურად კი პურის წონა 515 გრამი აღმოჩნდა.

ექსპერიმენტის დროს შევეცადეთ ყველა სახეობის პური გვენახა, ამიტომ გადავწყვიტეთ დიაბეტური და დიეტური პური **"მხნეობა"** აგვეწონა. სხვაობა ეტიკეტზე დაფიქსირებულ და რეალურ წონას შორის 20 გრამი აღმოჩნდა. პური 320 გრამი უნდა ყოფილიყო (3 გრამის მეტობით ან ნაკლებობით), თუმცა აწონვის შემდეგ გაირკვა, რომ პური 300 გრამს არ აღემატება.

ყველაზე დიდი სხვაობა **"ბებოს ლავაშის"** აწონვის შემდეგ დაფიქსირდა. ნაცვლად 400 გრამისა, ლავაშის წონა 335 გრამი იყო.

ქართულ ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტის საფასურს, ხარისხი, შეფუთვა და წონა განსაზღვრავს. ამ ექსპერიმენტიდან კი გაირკვა, რომ ზოგიერთი მწარმოებელი დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად არ ასრულებს.

ვიდრე პურის მწარმოებლები პურზე ფასის მომატებას გადაწყვეტენ, მომხმარებელი ბაზარზე არსებული მდგომარეობით ღღესაც საკმაოდ ზარალობს.

ᲛᲘᲠᲖᲐ ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲓᲐᲜ

დიდი ქართველი პოეტის მირზა გელოვანის პოეტური სამყარო საგსეა თვითმყოფადი, გულიდან წამოსული, გულწრფელი ლექსებით, რომელთაც მომაჯადოებელი ხიბლი შემატეს თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებას.

ხანმოკლე იყო მირზას ცხოვრება, ფრონტზე გაიწვიეს ახალგაზრდა პოეტი და სამშობლოსგან მოწყვეტილმა დაასრულა თავის სიცოცხლეც. თუმცა, ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ღრმა კვალი გაავლო ქართული პოეზიის სამყაროში და დაიმკვიდრა უკვდავი პოეტის სახელი!

პოეტის ხორციელი სიკვდილი მის სამარადჟამო სულიერ სიცოცხლედ იქცა...

ფრონტიდან სისტემატურად უგზავნიდა წერილებს მშობლებს, ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ:

"ძვირფასო მშობლებო!

მე საოცრად შევეჩვიე სიზმრებს, მაგრამ თქვენ არასოდეს მესიზმრებით. ზოგჯერ თქვენზე მიფიქრია და ისე დამიძინია, მაგრამ არა და არა, თქვენი ნახვა არ მიხერხდება.

დასწყევლოს ღმერთმა, ისე ნამდვილად იფიქრებს ვინმე ამ წერილის წაკითხვაზე, თითქოს ბავშვი ვიყო, ოცდახუთი წელი კი დამეწყო.

ამბობენ, რომ სიყმაწვილე და ახალგაზრდობა ყველაზე კარგი წლებია ცხოვრებაში. მე მათ ვერ ვხედავ.

ჩემი გზა მილიონობით გზას მიჰყვება და არსად თავდება, რადგან მილიონების გზის დამთავრება არ შეიძლება. მე ის ზღაპრული მოყმე ვარ, ყველგან რომ იპოვიდა საკუთარ ადგილს.

მჯერა, მე დავიბადე უდიდესი ძვრების მონაწილედ და ამ ომიდან, ამ გრიგალიდან დავბრუნდები გამარჯვებულ ლაშქართან ერთად.

მოვივლი ყველა გრიგალებს და დავბრუნდები. ახალგაზრდა ვარ და იმედიანი. არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც ჰკლავდნენ და არ კვდებოდა, რადგან იმედიანი ვარ და იმედი ამარცხებს სიკვდილს. რადგან გამბედავი ვარ და სიცოცხლით მოთამაშე.

მირზა

1941 წელი".

ივრისპირელი მზეჭაბუკის, მირზა გელოვანის ლამაზი სიცოცხლე 27 წლის ასაკში გმირულად დასრულდა, რადგან იმ დიდი ომის ყველა მონაწილე გმირი გახლდათ. პოეტის დაბრუნების იმედით თვალებამოღამებულ საწყალ დედას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სჯეროდა, რომ შვილი დაუბრუნდებოდა. შავებს ჯიუტად არ იცვამდა, სანუგეშებლად მოსულებს კი იქით ანუგეშებდა.

"მოვა, არ დაიკარგება ჩემი შვილი", – ამბობდა ხშირად დედის მომლოდინე შვილი და ამ მოლოდინით გადაინაცვლა კიდეც ზეციურ საქართველოში.

მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა სიცოცხლესა და თავად სიყვარულზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტი, რომელიც თითქოს წინასწარ გრძნობდა ბედისწერის გარდაუვალობას:

"თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,

დანაშაული არ დაბრუნების".

ᲛᲐᲠᲘᲝ ᲕᲐᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲣᲗᲜᲘᲡᲫᲔᲓᲚᲘ!

"საყდრისის აფეთქებას, ჩვენზე ზრუნვით გვიხსნიან,
ხუდონჰესის შენებას მით მეტად გვამადლიან?!
წინაპრის დავიწყებით, ყანას თუ სხვას უმკიან,
ერთი გამაგებინა მომავალს რას ერჩიან?!"

ქართველი ერი, საუკუნეების მანძილზე, მუდმივად იბრძოდა თვითგადარჩენისათვის, მიუხედავად დღე და ღამ ბრძოლაში ყოფნისა, ქართველი მეფეები ყოველთვის ზრუნავდნენ ქართველთა ეკონომიურ მდგომარეობაზე და დიდ პატივს მიაგებდნენ ეროვნული დოვლათის შემქმნელ მშრომელ ადამიანს. ხალხის კეთილდღეობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე მზრუნველი ადამიანი კი ოდითგან გუთნისდედად მოიაზრებოდა.

გუთნისდედა – ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში შრომობდა და იღვწოდა, რათა ქვეყანა გამოეკვება, გაეძლიერებინა.

ქართველი ხალხი განსაკუთრებულად აფასებდა ასეთ ხალხს. ქართველი მეფენი სამკვდრო-სასიცოცხლო ომების დროსაც კი, უფრთხილდებოდნენ მათ და ომში არ მიჰყავდათ.

ყველამ იოცნებოს გუთნისდედის პატივი!

დღეს გუთნისდედობას ჩემულობენ მთავრობის წევრები, როდესაც თავიანთ ქმედებებს ქართველი კაცის გამოკვებასა და გაძლიერებაზე ზრუნვით ხსნიან.

ხალხზე ზრუნვა, რომ აუცილებელია, მათთვის სამუშაო ადგილებისა და შესაბამისი პირობების შექმნა ეს ყველასათვის ნათელია. მაგრამ კითხვა ისმის – რის ფასად ???

ამ კითხვაზე შესანიშნავი პასუხი გასცა ქართველმა ხალხმა, რომელიც ასე ათაყვანებდა რა გუთნისდედობას, ყველაფერს არ იღებდა მისგან, თუ თვლიდა რომ ეს მის ღირსებას თელავდა. ქართველი კაცის ღირსება კი იყო: ენა, მამული, სარწმუნოება. რომელიც დაფუძნებული იყო: წარსულის პატივისცემაზე, აწმყოს არსებობასა და მომავლის აუცილებლობაზე. ის ვინც ამ ურთიერთობას არღვევდა, მისგან არავინ არაფერს დებულობდა, სიკეთესაც კი. ამ ღირსებამ ათქმევინა ქართველ ხალხს:

"სირცხვილი იმ გუთნისდედას
წინაპართა საფლავს ხნავდეს!!!"

ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ აუცილებელია გავუფრთხილდეთ ჩვენი მამაპაპის ოფლითა და სისხლით მორწყულ მიწა-წყალს, მის ფლორასა და ფაუნას, თუ ისტორიას და რომ აუცილებელია მათი შენარჩუნებით შევქმნათ მომავალი!

ამ გზას მტკიცედ დაადგა ქართველი ერი 1990-91 წლებში:

„სოციალური ჰარმონიის დამყარების ერთადერთი გზა იცის კაცობრიობამ. ეს არის: რელიგიის აღორძინება, ახალგაზრდობის სწორი აღზრდა, ზნეობრივი იდეალების დამკვიდრება საზოგადოებრივ ცხოვრებაში."

(ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ, 1990 წლის 14 ნოემბერი).

„შორს არ არის ის დრო, როდესაც საქართველო იქცევა ზნეობრივი სიდიადის მაგალითად მსოფლიო ხალხისთვის."

(იქვე).

ან: **„ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიურ ფიზიკურ კეთილდღეობაზე, სულისმიერი ეროვნული აღორძინების სახელით."**

(Ზ. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ, 1991 წლის 7ივნისი, პრეზიდენტის საპროგრამო სიტყვა).

ზუსტად სულისმიერი და ზნეობრივი იდეალებისადმი ასეთი სწრაფვა არ აპატიეს მას ძლიერთა მსოფლიოსა შინა, დაამხეს მისი ხელისუფლება და თავადაც მოაკვდინეს. მას შემდეგ ქართველ ხალხს ატარებენ უზნეობის ჭაობში, როდესაც შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმებმა, არსებობის ერთადერთ ლოზუნგად აქციეს: **„იკადრე ყველაფერი, მოერგე ამ ცხოვრებას და შენც წილში იქნები. იცხოვრე შენთვის, რა დროს საქართველოა".**

დღეს კი ყველაფერს ფარისევლობის ნიღბით უდგებიან, ხალხზე ზრუნვით ცდილობენ ახსნან უცხოტომელებზე მიწების გაყიდვა, ისტორიის მოსპობა, ბუნების განადგურება. ამ მიზეზით იყიდებოდა სტრატეგიული ობიექტები, ამ მიზეზით ართმევდნენ ქონებას, ამ მიზეზით ხოცავდნენ ქართველებს ეს 23 წელია და ამ მიზეზით ხდება დღესაც ყველაფერი! ეს ყველაფერი გაითვალისწინონ იმ ადამიანებმა, რომლებიც ყველა დროში მოიძებნებიან და მზად არიან ორიოდ გროშის (დროებითი სამსახურის) ფასად უღალატონ ეროვნულ სულს, ეროვნულ ღირებულებებს და ხოტბა შეასხან ხელისუფლებას. უბრალოდ გადახედონ საქართველოს ისტორიის ფურცლებს:

არანაკლებ გაჭირვებას განიცდიდა ბერი თეოდორეს დროს ქართველი ხალხი. განა აწყენდა მას დაპირებული დიდძალი ოქროვერცხლი, რომლითაც უამრავ ეკლესიას და ქვრივ ობოლს შეეწეოდა, მაგრამ რა არჩევანიც მან გააკეთა ერის ხსოვნაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი!!!

ასევე ერის ხსოვნაში სამუდამოდ დაიმკვიდრა (ოდონდ გამყიდველის) ადგილი ყორღანაშვილმა, რომელმაც თითქმის ანალოგიურ სიტუაციაში, არჩევანი ოჯახსა და ფუფუნებაზე გააკეთა – შედეგად კი მიიღო ის, რომ თვით მისი უშუალო მემკვიდრენიც კი წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ მის სახელს?!!

ეს 23 წელია **„ყორღანაშვილთა"** ჟამი დგას საქართველოში, როდესაც ყველა და ყველაფერი იყიდება (იცვლება) დროებით სიამოვნებაზე (სტატუსზე, ფულზე, სამსახურზე). ისტორია კი დაუნდობელია და ყველას საკუთარ ადგილს მიუჩენს შთამომავლობის თვალში!

„დრონი მეფობენ და არა მეფენი!"

საყდრისის ნგრევის, ხუდონჰესის და სხვა ანტიქართული პროექტების შენების, სხვა **„ახალი საყდრისების"** ნგრევების მეხოტბენო და მათ უკან მდგომო ლობისტებო ისტორიის სამსჯავროს უფრთხილდით!

მთავრობას კი კიდევ ერთხელ შევახსენებ: გუთნისდედობა შესანიშნავია – წინაპართა საფლავის თხრა კი ძალიან ცუდი!!! ათასობით კეთილი საქმის კეთებაც კი ვერ გადაფარავს და ხალხი არასოდეს მიიღებს თქვენს გუთნისდედობას, არამედ სამუდამოდ დაგრჩებათ **„წინაპართა საფლავის მთხრელის"** იარლიყი.

P.S. საინტერესოა, როდესაც მთლიანად გადაითხრება ეს პატარა ბორცვი, მერე რას უპირებთ იმ 3000 ოჯახს? კიდევ რის დანგრევას და გაყიდვას აპირებთ???

ᲒᲘᲐ ᲩᲣᲗᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სენსაცია! ჯონ მაკკეინმა საჯაროდ აღიარა, რომ „აშშ-ის პრობლემა პუტინი, ჩინეთი და სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებაა სხვადასხვა ქვეყანაში!" საინტერესოა, რას იტყვიან ახლა USA-ქართველი პოლიტიკოსები ამერიკულ თავისუფლებასა და დემოკრატიაზე?!



ამას წინათ ჯონ მაკკეინი ლატვიაში ჩავიდა ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის ახალი შენობის გახსნაზე, რომელიც კიბერ და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე, ასევე პროპაგანდისთვის წინააღმდეგობის გაწევაზეა სპეციალიზებული. საინფორმაციო სააგენტო „MEDUZA"-სთან ინტერვიუში სენატორმა, კერძოდ, განაცხადა:

„ყველა ეს საკითხი ჩემს, როგორც შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარის კომპეტენციაშია. ახალი ტექნოლოგიები დღეს ჩვენთვის მთავარ სირთულეს, მთავარ გამოწვევას წარმოადგენენ. ახალ ტექნოლოგიებში ვგულისხმობ როგორც პროპაგანდისა და სიცრუის გავრცელებას, ასევე ინტერნეტის მეშვეობით „ისლამურ სახელმწიფოში" გადაბირებასაც. ცენტრი, რომელიც აქ გავხსენით, დაგვეხმარება ამ პრობლემებთან გამკლავებაში. რასაკვირველია, პრობლემის ნაწილი – ვლადიმერ პუტინია, თუმცა, პრობლემა უფრო მოცულობითია, ვიდრე პუტინი. არის კიდევ ჩინეთი, კიბერუსაფრთხოება, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება სხვადასხვა ქვეყანაში. ცენტრი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იმაში, თუ როგორ ვუმკლავდებით მთელ ამ გამოწვევებს.

...ვლადიმერ პუტინსა და რუსულ აგრესიაზე საუბრისას, გამონათქვამებსა და დახასიათებაში წინდახედულობაა საჭირო. ნათელია, რომ უკრაინაში მომხდარი რუსეთის მხრიდან აგრესიის შედეგია. ე. წ. სეპარატისტები, შესაძლოა რუსები არ არიან, თუმცა, გაწვრთნილი არიან რუსეთში და რუსულ შეიარაღებას იყენებენ. ამავდროულად, არ შეიძლება ისეთი განცხადებებით გამოსვლა და ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებსაც, როგორც იტყვიან, ახალი ცივი ომის ხელახლა გაჩაღება მოჰყვება. კითხვაზე პასუხად, თუ რატომ მოვედით აქ, ყველაზე უკეთ რონალდ რეიგანმა უპასუხა: „ძალისმიერი მშვიდობისთვის".

...აშშ-ის მთავრობამ სამარცხვინო რეაგირება მოახდინა. მარტო ის, რომ ჩვენ უკრაინას თავდაცვითი შეიარაღება მივაწოდეთ, უკვე სამარცხვინოა! ეს ამერიკის ისტორიაში სამარცხვინო თავია!... ჩვენ სადაზვერვო მონაცემების გადასაცემადაც არ ვართ მზად. ჩვენ დავიწყეთ სასწავლო პროგრამები და ეს კარგია, თუმცა, მთლიანობაში – და ეს ზუსტად ვიცი – უკრაინელი ხალხი ჩვენით ძალიან განხიბლულია და ამის ყოველგვარი საფუძველი აქვს.

...რა თქმა უნდა, 1990-იან წლებში რუსებს სირცხვილისა და დამცირების გადატანა მოუხდათ. საშინელი დამნაშავეობა სუფევდა, ყვაოდა კორუფცია. რუსები ძალიან ამაყი ხალხია და, რა თქმა უნდა, რცხვენოდათ. პუტინი ძლიერი ადამიანია. ხელისუფლებაში მოსულმა ნაციონალური სიამაყე აადორძინა. ეს ფაქტია, პუტინმა გამოიყენა ხალხის ემოციები და ისინი თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა. თუმცა ახლა ახალი სირთულეები გამოჩნდა – იმ ძალისა და პრესტიჟის საფასურს, რომელიც, როგორც რუსებს მიაჩნიათ, პუტინმა რუსეთს დაუბრუნა, ეკონომიკური კრიზისით იხდიან. დარწმუნებული ვარ, რომ პუტინი ძალიან ჭკვიანი ადამიანია. მას შეუძლია რისკების აწონ-დაწონვა, ზარალის დათვლა. სწორედ ამიტომ მე მხარს ვუჭერ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას. ახლა ის კმაყოფილდება იმით, რომ ნაწილ-ნაწილ ართმევს ტერიტორიებს უკრაინას, საქართველოს, ახდენს ბალტიისპირეთის ქვეყნების ტესტირებას – ანუ უყურებს, კიდევ რას გაუძლებს ბაზარი. ასე რომ, ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარმოუდგენია მომავალი აგრესიის შედეგები, ვთქვათ, ბალტიისპირეთის ქვეყნებზე თავდასხმის... და როცა ამაზე ფიქრობ, გესმის, რომ პუტინი ძალიან სახიფათო ადამიანია"...

კონსტანტინ ბენიუმოვი,
რიგა;
საქინფორმი

გიორგი თევზაძე: „ხელისუფლებას მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ განახორციელოს ყველა ღონისძიება „ბორჩალოს" ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის აღსაკვეთად, რათა ჩრდილი არ მიადგეს ქართულ-აზერბაიჯანულ მეგობრობას"

უფლებადამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის **„თქვენი უფლებებისათვის"** სპიკერი გიორგი თევზაძე 2015 წლის 24–30 აგვისტოს გაზეთ **„კვირის პალიტრა"**-ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას **„პანკისი 2"-ის საფრთხე ქვემო ქართლში"** ეხმაურება.

მედიაში გავრცელებულ ინფორმაციის თანახმად, ქვემო ქართლში, კერძოდ, დმანისში ე.წ. **„საზოგადოებრივი დღეასწაულის"** საფარქვეშ არსებობს ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი საფრთხე, რომლის ძირითადი ინიციატორს და ორგანიზატორს წარმოადგენს ბაქოში დაფუძნებული ორგანიზაცია **„ბორჩალო"**, რომელსაც, სტატიის თანახმად, დიდი ალბათობით ფინანსურად ეხმარებიან აზერბაიჯანის წარმომადგენლები.

„ჩვენი ღრმა შეშფოთების საგანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ადგილი აქვს ეთნიკური ჯგუფების მობილიზაციას, სეპარატისტული მოძრაობის წახალისებისა და ეთნიკური დაპირისპირების მიზნით.

ასევე არ არის გამორიცხული, რომ „ბორჩალოს" საქმიანობას ხელს უწყობდნენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები, რეგიონში ვითარების მიზანმიმართული დაძაბვის მიზნით.

შექმნილი ვითარება ხელისუფლებას ავალდებულებას განახორციელოს გადაუდებელი რეაგირება და შეიწავლოს საქართველოში „ბორჩალოს" საქმიანობა კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით", – აღნიშნავს, კერძოდ, რაფაელ ისკანდაროვი სტატიაში.

„ხელისუფლებას მოვუწოდებთ დაუყოვნებლივ განახორციელოთ ყველა საჭირო მოქმედება, რათა აღკვეთილი იქნას „ბორჩალოს" და მსგავსი ე.წ. ორგანიზაციების ანტისახელმწიფოებრივი და კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა, რათა ანტისახელმწიფოებრივი ძალების მოქმედებით ჩრდილი არ მიადგეს ქართულ–აზერბაიჯანულ მეგობრობას", – აღნიშნულია, კერძოდ, უფლებადამცველის და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის **„თქვენი უფლებებისათვის"** სპიკერის გიორგი თევზაძის გავრცელებულ განცხადებაში.

მოკლედ, თუ ჩვენმა ხელისუფლებამ ყური არ შეიბერტყა, ჩვენმა **"მეგობარმა"** მეზობლებმა, რომელთაც ხარბი აფთრებივით უჭირავთ თვალი ჩვენს ტერიტორიებზე, შეიძლება რაღაც ხიფათს გადაგვკიდონ!

საქინფორმი

რომელია 8 მომაკვდინებელი ცოდვა – "ეს ცოდვები ადამიანს ღმერთს ავიწყებს"

"არსებობს მომაკვდინებელი ცოდვები და არსებობს ნაკლებად მძიმე ცოდვები", – ამბობს ჟურნალისტთან საუბრისას ნარიყალას წმ. ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი.

დეკანოზის თქმით, მომაკვდინებელი ცოდვა ადამიანს ღმერთს ავიწყებს და მასში ღვთისაკენ ლტოლვას კლავს.

"ძველ ბერძნულ და ძველ ებრაულ ენაზე ცოდვა ნიშნავს გზიდან აქცეულს, ანუ გარკვეული მისწრაფებიდან გადახვევას. მოგეხსენებათ, პირველი ცოდვა ჩაიდინა ეშმაკმა და მომავალში მან ცოდვა ადამს ჩაადენინა. ადამიანის მიზანი უფალთან მიახლოება იყო და ამ საკითხში მან შესცოდა, ეშმაკის ცდუნებას დაუჯერა, გადაუხვია მიზანს, ამიტომ ღმერთმა სამოთხიდან გამოაძევა.

მომაკვდინებელი ცოდვები იმდენად მძიმეა, რომ ამ ცოდვის ჩამდენი ადამიანი საერთოდ აღარ ფიქრობს ღმერთზე, მას ავიწყდება თავისი მიზანი და ღმერთს განეშორება. ხშირად არის ისეთი მომენტი, როცა ადამიანი საკუთარ ცოდვას და უგუნურ ქმედებას სხვას გადააბრალებს, როგორც ევას გადააბრალა ადამმა, ევამ კი ეშმაკს.

ყველაზე დიდი ცოდვა ის არის, რომელსაც ადამიანი ძალდატანების გარეშე აღასრულებს, ანუ მას არც ეშმაკი აძალებს, არც სხვა ადამიანი და ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე სცოდავს".

რაც შეეხება რვა მომაკვდინებელ ცოდვას, ესენია:

ნაყროვანება – სიმთვრალე, მარხვის დარღვევა, ფარულად ჭამა, გემოთმოყვარეობა და საერთოდ, ყველანაირი თავშეუკავებლობა. არასწორი და გადაჭარბებული სიყვარული საკუთარი სხეულისა, მისი სიცოცხლისა და განსვენებისა, რაც წარმოადგენს თავისმოყვარეობას, ამისგან კი იშვება ორგულობა ღმრთისადმი, ეკლესიისადმი და ადამიანებისადმი.

სიძვა – მრუშული აღგზნება, სხეულის მრუშული შეგრძნებები და სურვილები. არაწმინდა აზრების მიღება, მათთან საუბარი, მათით ტკბობა, გრძნობების დაუცველობა, განსაკუთრებით შეხების გრძნობისა. ბილწსიტყვაობა და ვნების აღმძვრელი შინაარსის წიგნების კითხვა.

ვერცხლისმოყვარეობა – ფულის სიყვარული, საერთოდ მოძრავი და უძრავი ქონების სიყვარული. გამდიდრების სურვილი და მის საშუალებებზე ფიქრი, ოცნება სიმდიდრეზე. სიბერის, მოულოდნელი გაღატაკების, დანნეულებისა და გადასახლების შიში. სიძუნწე, ანგარება, ურწმუნოება ღმრთისადმი, მისი განგებულებისადმი მინდობა, საჩუქრების სიყვარული, სხვისი ნივთების მითვისება. ქურდობა, ძარცვა.

მრისხანება – სიფიცხე, მრისხანების აზრების მიღება, ოცნება სამაგიეროს გადახდაზე, უმართებულო ყვირილი, კამათი, ღვარძლიანი, უხეში, სალანძღავი სიტყვები, ცემა, ხელის კვრა, მკვლელობა, სიძულვილი, მტრობა, შურისგება, ცილისწამება, განკითხვა, მოყვასის აღშფოთება და განაწყენება.

შურა (მწუხარება) – ნაღველი, ურვა, წუხილი. ღმრთის იმედის დაკარგვა, მის აღთქმებში დაეჭვება, მისდამი უმადურობა, სულმოკლეობა, მოუთმენლობა, თავის ბრალობის დატევება, საკუთარი ჯვრის უარყოფა, მისი მოშორების მცდელობა.

მოწყინება – მცონარობა ყველანაირ კეთილ საქმეში, განსაკუთრებით კი – ლოცვაში. საღვთისმსახურო და სენაკის ლოცვითი კანონების, განუწყვეტელი ლოცვისა და სულის სასარგებლო საკითხავების დატევება, უყურადღებობა და სიჩქარე ლოცვაში, დაუდევრობა, უკრძალველობა, უსაქმობა, სხეულის ზედმეტი განებივრება ძილით, წოლით და სხვა სახის განსვენებებით. უქმი მეტყველება, მკრეხელობა, საკუთარი ცოდვების დავიწყება, ქრისტეს მცნებების შეუსრულებლობა, სასოწარკვეთილება.

მზვაობრიობა – ადამიანური დიდების ძიება, თავის ქება, ლამაზი შესამოსელის ეკიპაჟების, მოსამსახურეებისა და სენაკის ნივთების სიყვარული, საკუთარი სახის სილამაზისა, ხმის სიმშვენიერის და სხეულის სხვა თვისებებისადმი ყურადღება, საკუთარი ცოდვების აღიარების სირცხვილი, მათი დამალვა ხალხისა და სულიერი მოძღვრისგან, თავის მართლება, კამათი, თვალთმაქცობა, სიცრუე, პირფერობა, შური, მოყვასის დამცირება, ხასიათის ცვალებადობა, ფარისევლობა.

სიამაყე – მოყვასისადმი სიძულვილი, საკუთარი თავის სხვებზე უმჯობესად მიჩნევა, კადნიერება, გულისა და გონების დაბნელება, ურწმუნოება, საკუთარი ხორციელი ნების მიდევნება, გარყვნილი შინაარსის წიგნების კითხვა, გესლიანი დაცინვა, ღმრთისა და მოყვასის სიყვარულის განქარვება, ცრუფილოსოფია, სულიერი სიკვდილი.

მინდა აქვე დავსძინო და პატივცემულ მკითხველს მინდა შევახსენო, რომ როცა სასულიერო პირი ქადაგებს ამა თუ იმ საკითხზე, ყველა სასულიერო პირი ახმოვანებს საეკლესიო სწავლებას წმინდა მამათა გადმოცემიდან და კრიტიკა და განსხვავებული აზრი არ არის მართებული, რადგან ჩვენ არ ვამბობთ ჩვენს აზრს, ჩვენ ვახმოვანებთ ეკლესიის აზრს, წმინდა მამათა დარიგებებს, – ამბობს დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი.

თაკო ესებუა

დიდი ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც თერგდალეულთა პირველ ძახილზე მოვიდა. ის მოვიდა, როგორც ერის უკვდავი ძარღვის ნაწილი. ძარღვისა, რომელიც თურმე ისევ ცოცხლობდა მაღალი ციხეების ნანგრევებში და ერისკაცების სულში.

ვაჟა-ფშაველა საომრად მოვიდა. მან, როგორც მისმა დიდმა თანამებრძოლებმა, იცოდა, რომ ეს ბრძოლა სამშობლოსთვისაა. სამშობლოსათვის ბრძოლაში კი ჯილდო არ არსებობს. ეს ბრძოლა გულის მოწოდებით, მარადიული ადგილის დედის მოწოდებით იწყება.

1915 წლის ივლისი. თბილისური ცხელი ზაფხული. წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში წევს ვაჟა-ფშაველა – ბრძოლით დაღლილი, ავი ძაღლებისგან დაკბენილი, მოწმალული ისრებით დაჭრილი, სალაშქრო ცხენებიდან ჩამოუსვლელი, მეომრის ცხოვრებით გატანჯული კაცი. ჯერ არ გამშრალა წიწამურის ველზე დაღვრილი სისხლი. არც არასოდეს აშრება.

ილია ჭავჭავაძის ძმა, შვილი, თანამებრძოლი, დიდი პოეტი – ვაჟა ფშაველა, თავისი სიცოცხლის დასასრულთან მიმდგარა და მომავალზე ფიქრობს, თერგდალეულთა მიერ დაწყებული ლაშქრობის გაგრძელებაზე – ვინ მოდის, ვინ ჩაიბარებს დროშას, ვინ დადგება ტყვიის სამიზნეზე...

სამოციანელთა დიდი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ღვაწლი, მათი გმირული ბრძოლები და ისტორიული გამარჯვებები ყველაზე მეტად მათსავე შემოქმედებაში აისახა. მათი ლექსები, მოთხრობები, პუბლიცისტური გამოსვლები, ლიტერატურული წერილები, გარკვეულწილად, მაშინდელი საქართველოს ავადმყოფობის ისტორიაა, რომელშიც ზუსტადაა აღნუსხული ავადმყოფის იმდროინდელი მაჯისცემა, სასიკეთო და შემაშფოთებელი სიმპტომები, ის სამკურნალო საშუალებები, ფიქრში გატეხილი ღამეებიდან რომ გამოჰქონდათ ერის მეთაურებს...

როცა სამოციანელ მწერალთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე ფიქრობ, არ შეიძლება თვალში არ მოგხვდეს პუბლიცისტური, პოლემიკური, კრიტიკული წერილების სიმრავლე მათ შემოქმედებაში. ესეც იმ დროს შექმნილმა კონკრეტულმა მდგომარეობამ მოითხოვა. ქართველ მწერალს არ შეიძლებოდა ჰქონოდა პროფესიული ფუფუნების ის უფლება, რაც თავისუფალი, გალაღებული ერის მწერლებს შეეძლოთ ჰქონოდათ. მწერლის ვიწრო პროფესია დასაზღვრული არ იყო – მისი გონება და გული ქვეყნის ყველა სფეროს უნდა გადასწვდენოდა, მის თვალს მისნური ძალით უნდა განეჭვრიტა მომავალი.

რა ილიას საქმე იყო ბანკი? რა ვაჟას საქმე იყო შირაქის მიწებისათვის დავა და ჩარჩ-ვაჭრების დევნა?

მაგრამ ქვეყანას უჭირდა, მოშლილი იყო მისი ნერვული სისტემა და სისხლის მიმოქცევა, გაწყვეტილი იყო ერის უკვდავებისათვის მებრძოლ თაობათა ბუნებრივი მონაცვლეობა: აი, მაშინ გამოუტანეს მთვლემარე ქვეყანაში შემოჩვეულ **“ლიტერატურულ ბულბულებს”** უმკაცრესი განაჩენი **“...აწ ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა, ხელოვნების სახელით უკუარიდოს პირი თავისი ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს”.**

სამშობლოსათვის თავდადებულნი – ეს სიტყვა დააწერა შთამომავლობამ ილიას თანამებრძოლთა საფლავებს. სამოციანელთა სისხლითა და ცრემლითაა გაჟღენთილი ის დრო, რომელშიც მათ იშრომეს და იბრძოლეს, ის გზა, რომელიც გაიარეს.

ვაჟა-ფშაველას 1900 წელს დაუწერია ვრცელი ლექსი **“ჩემი ახალი მეკვლე”.** ახალი წლის ღამეს, მწერალთან მიდის ერთი ძველი ნაცნობი, რომელსაც უღალატია კაცური მრწამსისთვის, დაუჩოქია, მტერს შერიგებია... სამაგიეროდ, ტკბილი და უზრუნველი ცხოვრება მიუღია, ტანსაცმელი ჩაუცვამს **“სწორედ სამეფო, რჩეული”.** ერთი სიტყვით, პოეტის წინაშე, მშობელი ხალხის გამყიდველი, ეროვნული იდეალების მოღალატე დგას და ეუბნება უმძიმეს უღელში შებმულ ერისკაცს:

“აბა ქვეყანამ რა მოგცა,
მასზე ფიქრმა და შრომამ?
იმის წყლულებზე წუწუნმა,
მის ორგულებზე წყრომამ?”

პოეტმა მეკვლედ არ მიიღო სულის გამყიდველი:

“ადე და წადი იმათთან,
ვინც მოგწონს, ვინაც კარგია.
სამარის კარამდე ვზიდავ,
რაც ზურგზე მკიდავ ბარგია”.

ეს ბარგი, ეს უძვირფასესი შემოქმედება ახლა ერის კუთვნილებაა – იქ დიდი სიბრძნე, სიკეთე და სიყვარულია...

ყოველწლიურად, ზაფხულში, ერთ დღეს, დიდი ზეიმი იმართება ფშავის ხევზე. ხალხით ივსება ჩარგალი, ვაჟა-ფშაველას კარ-მიდამო. მოდიან, რომ ამ მაღალ მთებთან, ამ სწრაფი მდინარეების გვერდით კიდევ ერთხელ შეხვდნენ მას, კიდევ ერთხელ გაუსწორონ თვალი პოეტის სინათლესა და სიყვარულს, სატკივარსა და საფიქრალს. ამ დღეს უფრო მკვეთრად გამოჩნდება ხოლმე შემოქმედის უკვდავება – ვაჟა ფშაველას დიდი დღე.

ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტის ხმა არ დაძველებულა, გული არ გაცივებულა, მისი დღე არ ქცეულა გუშინდელ დღედ და საოცარი სილამაზით ბრწყინავს **“კლდის თავს გაშლილი პირიმზე”.**

ლუკა რაზიკაშვილის ყოველი ახალი წიგნი ხალხის შეხვედრაა თავის დიდ ეროვნულ მწერალთან.

შეხვედრაა ქუჩთან და იმედიან მთებთან.

შეხვედრაა მთის არწივთან და ზვიადაურის გაუტეხელ გულთან...

შეხვედრაა ატირებულ შვლის ნუკრთან და ბახტრიონს მიმავალ ლელა ბაჩლელთან...

თავისი მაღალი მთებიდან კიდევ ერთხელ გადმოდგება პოეტი და ისარივით ისვრის შეკითხვას: **“კარგ ყმად ვინა ვთქვათ?!”**

გაეცანით მის ერთ-ერთ წერილს, რომელშიც ასახულია იმდროინდელი ხალხის გულისტკივილი და, სამწუხაროდ, საქართველოში, დღესაც აქტუალურია, მოუგვარებადია ის პრობლემები.

“რა არის თავისუფლება?

ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიუღენთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-1905 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?... თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რადღა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შაერთდენ, მოიფიქრონ როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს. ეგრეთვე თუ ცხვარი-ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, – ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...

დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართნა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შაგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოვსპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდღეს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვ. და სხვ...

არ მინდა ვილოცო ის მშვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! – სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო სახიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!..

არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით **„სიკვდილი ან სიცოცხლე“** (ე.ი. თავისუფლება)?! – იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ. აშკარად ვგრძნობთ ყველანი... მაშასადამე, სჩანს მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვიმეორებ. ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად.. და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურების მეტი? – არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტახანს, რადგან ცხოვრების ლოდიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას, აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბედნიერება – წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პულობს. წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? – სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, – სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემუსროს თავის დამმონებელნი...

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის. ყველა ჩვენგანი ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: **„ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.**

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია.

მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია. ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ 91 წლის ასაკში გარდაიცვალა

ვლადიმერ (ვალოდია) ფიფია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალადანიას

სფფ-ის საპრეზიდენტო არჩევნები: ვეტერანების არჩევანი და პროტესტი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატთაგან ოფიციალური განაცხადი ჯერ არც ერთ მათგანს არ წარუდგენია.

ამა წლის 20 აგვისტოს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის წევრები ფეხბურთის ფედერაციის მოქმედ გენერალურ მდივანს, პრეზიდენტობის კანდიდატ რევაზ არველაძეს შეხვდნენ. მან ვეტერანებს ფეხბურთის განვითარების 4-წლიანი გეგმა გააცნო, რის შემდეგაც არველაძის კანდიდატურის მხარდაჭერაზე ღია კენჭისყრით ერთხმად შეთანხმდნენ.

"ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა თუ გსურს, უპირველესად, იმ ხალხს უნდა ესაუბრო და იმათგან მიიღო თანხმობა, ვინც ქართულ ფეხბურთს ემსახურა და მისი ისტორია შექმნა", – განაცხადა შეხვედრიდან გამოსულმა რევაზ არველაძემ.

"არველაძეს ვეტერანთა კავშირი იმიტომ წარვადგენთ, რომ ის არის მცოდნე ადამიანი და იცის, სად რა არის გასაკეთებელი", – ასეთია **"ვეტერანთა კავშირის"** პრეზიდენტ ვაჟა ჟვანიას პოზიცია.

მოწინააღმდეგენი

ვეტერანთა კავშირს ყრილობაზე ხმის უფლება აქვს და მათი კანდიდატურა, უმთავრესად, პრეზიდენტი ხდება კიდეც. ამჯერადაც, როგორც ამტკიცებენ, არველაძეს სხვა კანდიდატურებთან შედარებით უპირატესობა აქვს და მას ყრილობის მონაწილე დელეგატთა უმრავლესობა ემხრობა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრისთვის ხმების კონკრეტული განლაგებაც ცნობილია – არველაძეს 35-დან 28 სუბიექტი დაუჭერს მხარსო...

თუმცა, ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდია. არავინ უწყის, არჩევნებამდე ძალთა განლაგება როგორ შეიცვლება. საინტერესოა, რომ არველაძესთან ერთსაათიანი შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. ეს ბოლო დროს წესად დამკვიდრდა.

საინტერესოა, რა აქვს საფეხბურთო საზოგადოებას დასამალი მედიისგან? ისედაც ხომ ყველაფერი ცნობილი გახდება?

საინფორმაციო წყაროებმა ეს მოვლენა რომ გააშუქეს, მნიშვნელოვანი დეტალი გამორჩათ. შეხვედრის დაწყებამდე კავშირის წევრთა განცხადებასთან შეერთება ორმა ვეტერანმა ფეხბურთელმა არ ისურვა – ოლიმპიურმა ჩემპიონმა გელა კეტაშვილმა და უფროსმა დავით მუჯირმა.

მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, მათ ამ თემაზე კომენტარი არ ისურვეს, მხოლოდ ის ფაქტი დაგვიდასტურეს, რომ შეხვედრა მის დაწყებამდე დატოვეს.

როგორც აღმოჩნდა, ვეტერანები არველაძესთან შეხვედრაზე მიიწვიეს და იქ მოულოდნელად შეიტყვეს, რომ სფფ-ის გენერალური მდივნის კანდიდატურა უნდა წარედგინათ. მათი პოზიცია კი ასეთია – ნუ ვჩქარობთ, სხვა კანდიდატურებსაც მოვუსმინოთ და საუკეთესო მხოლოდ ამის შემდეგ შევარჩიოთო...

სურთ თუ არა ვეტერანების შეხვედრა?

რატომ არ ისურვეს სხვა კანდიდატებმა ვეტერანთა კავშირის წევრებთან შეხვედრა? ამის თაობაზე მურთაზ ხურცილავამ ფეხბურთის ფედერაციის გაზეთისთვის **("ჩვენი თამაში")** მიცემულ ინტერვიუში თქვა – დასანანია, რომ ერთის გარდა, სხვა კანდიდატებს ჩვენთან შეხვედრის სურვილი არ გასჩენიათო.

"პირადად, რევაზ არველაძეს ვუჭერ მხარს. მას ვიცნობ ჯერ კიდევ ფეხბურთელობის, შემდეგ მწვრთნელობის, კლუბის ხელმძღვანელობის პერიოდიდან. დიდი ხანია, ფედერაციაში მუშაობს, აქვს უზარმაზარი გამოცდილება, ძალიან უყვარს ქართულ საფეხბურთო ოჯახს, მჭიდროდ თანამშრომლობს უეფას ხელმძღვანელებთან და აქვს შესანიშნავი პირადი კონტაქტები, არის ყოველმხრივ განათლებული და ღირსეული პიროვნება.

მისი ხედვა ფეხბურთთან დაკავშირებით კარგად ვიცით და ყველანაირად ვემხრობით ამ ხედვას. წინასაარჩევნოდ მას კიდევ რამდენჯერმე შევხვდებით.

სხვა მხრიდან კი, ჯერჯერობით, ვეტერანებთან საუბრის სურვილი არავის გამოუთქვამს და ეს ძალიან მაკვირვებს. ნუთუ იმდენი არ გაგვიკეთებია ჩვენი ქვეყნისა და ფეხბურთისთვის, რომ შეგვხვდნენ, თავიანთი მოსაზრება გაგვაცნონ, ჩვენი აზრიც მოისმინონ და ჩვენი ხედვა გაითვალისწინონ.

შეხედეთ, ამ მხრივ რა ხდება ევროპულ ქვეყნებში, ნებისმიერ საფეხბურთო საკითხზე ადგილობრივი ვეტერანების მოსაზრება ყველასთვის გასათვალისწინებელია, ჩვენი უგულებელყოფა კი, რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია",– ამბობს ხურცილავა.

ჩარევა თუ ფალშ-სტარტი?

ვეტერანთა კავშირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი გამოეხმაურა. მან ხურცილავასგან განსხვავებული განმარტება გააკეთა. მისი თქმით, ვეტერანმა ფეხბურთელებმა პრეზიდენტობის მსურველ ყველა კანდიდატს უნდა მოუსმინონ.

"როგორც ვიცი, ვეტერანებთან შეხვედრა იმ პირობით გაიმართა, რომ ბატონ რევაზს თავისი საარჩევნო პროგრამა და ხედვები უნდა გაეცნო. იმედია, ვეტერანები სხვა კანდიდატებსაც შეხვდებიან და ამის შემდეგ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ისე, მიკვირს, არავისზე ნაკლები დამსახურება არ აქვთ თენგიზ სულაქველიძესა და კარლო მჭედლიძეს, მაგრამ მათი აზრით ვინმე დაინტერესდა? ამ ხალხმა საფეხბურთო სკოლები ააშენეს და ფეხბურთს სულითა და გულით ემსახურებიან",– ამბობს მინისტრი.

საფეხბურთო არჩევნებამდე მდგომარეობა დაძაბულია. არველაძის მხარდამჭერები სახელმწიფოს ჩარევაზე ალაპარაკდნენ. მინისტრს კომენტარი ამ საკითხზეც ვთხოვეთ:

"რომელ სახელმწიფოს ჩარევაზე ლაპარაკობენ, როცა ჯერ საარჩევნო კამპანია მხოლოდ ერთმა კანდიდატმა წამოიწყო. საინტერესოა, ვინმეს რამე პრობლემა შეექმნა?

საერთოდ, ფალშ-სტარტი სპორტსმენის ნერვიულობაზე მეტყველებს და ასე ხომ არ მოსდით? ჩარევაზე ის ხალხი ლაპარაკობს, ვისაც ფეხბურთი პრივატიზებული აქვს.

სახელმწიფოს სურს არა ჩარევა, არამედ, სფფ-სთან თანამშრომლობა. რომ ამბობენ, სუპერთასი კარგად ჩავატარეთო, ეს სახელმწიფოსთან ერთობლივი თანამშრომლობით არ მოხერხდა? სწორედ ამაზეა ლაპარაკი. რა შუაშია ჩარევა"?

მიხეილ ყაველაშვილისა და ლევან ყიფიანის გუნდის წევრი გუბაზ დოლიძე კი ამბობს, რომ ვეტერანთა კავშირმა გადაწყვეტილება ძალიან იჩქარა:

"ახლა მორიდებით ლაპარაკის დრო არ არის. არველაძეს ხმა იმიტომ მისცეს, რომ სხვა კანდიდატები არ შეხვდნენ? არ მესმის, ეს რა ლოგიკაა? ვინმესთან თავად ისურვეს კი შეხვედრა ან დაინტერესდნენ? იქნებ ასეთი მცდელობა სხვებსაც ჰქონდათ. საკუთარ ხმას რომ აძლევენ, იქნებ არველაძეზე უკეთესი პროგრამაც გააცნონ, რატომ ჩქარობენ?

ისიც საინტერესოა, არველაძესთან შეხვედრაზე მას თუ უთხრეს, ქართულ ფეხბურთში რა პრობლემებია?

მათ საქციელზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული და თუ სიმართლე თქვეს, ამით ბევრ რამეს შეცვლიან. მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ თბილად არიან და თეთრზე შავს ამბობენ. მათი დუმილით კი ქართული ფეხბურთი საბოლოოდ დაიღუპება და რაც ქვეყნისთვის გააკეთეს, წყალში გადაყრილი იქნება.

ნუ იფიქრებენ მხოლოდ საკუთარ თავზე, იფიქრონ ქართულ ფეხბურთზეც, რომელიც ფიფას რეიტინგში 154-ე ადგილზეა, ქართველი კაცის გულში კი ადგილი დაკარგა".

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამებრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იუმორი

– მოხვალ ჩემს ქორწილში?

– რატომაც არ მოვალ!

– ესეც ასე! სიძის საკითხიც მოგვარებულია...

* * *

წვეულებაზე ცოლმა აღტაცებით წამოიძახა:

– ძნელი დასაჯერებელია, რომ ხუთმა სირჩა კონიაკმა ასე შეცვალოს ადამიანი!

– კი მაგრამ, ძვირფასო, მე ხომ მხოლოდ ერთი სირჩა დავლიე,– ეუბნება ქმარი.

– შენ არა, მაგრამ, მე დავლიე ხუთი სირჩა კონიაკი,– პასუხობს ცოლი.

* * *

– ლონდონში ენის უცოდინარობა ხელს გიშლიდა?

– მე, არა. ლონდონელებს – ძალიან უშლიდა!

* * *

– ექიმო, მართალია, რომ სტაფილო მხედველობას აუმჯობესებს?

– რა თქმა უნდა, როდისმე გინახავთ სათვალეებიანი კურდღელი?

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩაღგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დიმენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე გიჟიკო (დიმენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930

234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge